

დღისუბანი საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

10 დეკემბერი 2021წ. №33 (4032) გამოცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი

დღიური შვლიძე


კონკურენციის ახალი საფეხილო პლაგიატი

უკანასკნელი ათწლეულებია, საქართველოში ხშირად ტარდება ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მდგარი ყველაზე საჭიროებო პრობლემების კლასიფიკაცია. კლასიფიკატორის სათავეში ხან საგარეო ორიენტაციის საკითხი დგას, ხან ოკუპირებული ტერიტორიების, ხან უმუშევრობის, სოციალური თუ პოლიტიკური პოლარიზაციის გამოწვევები ან კიდევ განათლების გაუმართავი სისტემა, ეკონომიკური ჩამორჩენილობა, გაჭირვება, მოსახლეობის გადინება, დემოგრაფიული დაღმასვლა და ა. შ. და ა. შ. ჩამონათვალთა სიაში აღნიშნული და კიდევ სხვა პრობლემები, ფეხბურთის დაძაბული ჩემპიონატის ყოველკვირეული მონაცემების მსგავსად, მუდმივად იცვლიან ადგილს და პირველობას ან ლიდერთა ჯგუფში დამკვიდრებას ვერ ახერხებენ ვერც ერთი პრობლემათაგანი. საბოლოო ჯამში, პრობლემათა ათეული მყარად კი გამოიყურება, მაგრამ საბოლოოდ არც ერთი მათგანი არ ტოვებს მყარ ათეულს, ე. ი. არც ერთი მათგანი არ წყდება, არ გვარდება.

აბა, რომელი მათგანი გახდა ავად მოსაგონარი წარსული, იქნებ, დამეხმაროთ და ვინმემ მოგვარებული პრობლემების ცალკე სია შემოგვთავაზოს? აფხაზეთთან ურთიერთობა დავალაგეთ, ეკონომიკურ შკალაში გადავიწიეთ წინ თუ განათლების სისტემა გავხადეთ სხვათათვის მისაბაძი და სანიმუშო. არა და ვერა. რატომ?

არ მინდა, ვინმემ პოლიტიკოსები გარიოს ბრალში. რა თქმა უნდა, უმაგისობა როგორ იქნება, მაგრამ მე ჩემი მიზანი მაქვს – როგორმე ეს წერილი ისე მინდა ჩავამთავრო, რომ პოლიტიკოსები არც ვახსენო და არც შევანუხო. ვნახოთ, როგორ გამოვივა.

პრობლემების სიმრავლეზე მოგახსენებდით: ჩვენი აზრით, წინათაც და ახლაც ყველა სატიკერის სათავე ეკონომიკური აუტსაიდერობაა, გაჭირვება და აქედან გამომდინარე, სხვისი ხელის შემყურეობა. ამასთან, ყველა უბედურების მოგვარების საწყისიც ეკონომიკური ჩიხის გარღვევა, ალორძინება და კეთილდღეობაა. ამიტომ მგონია, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ, ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც უპირველეს საზრუნავად,



პრიორიტეტად ეკონომიკური პრობლემის დაძლევა უნდა მიიჩნიონ. სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია – საჭირო, აუცილებელი, მაგრამ მეორეხარისხოვანი. გლობუსისათვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ კიდევ ერთხელ დაერწმუნდეთ – დემოკრატია, თავისუფლება და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ან გამართული განათლებისა თუ ჯანმრთელობის სისტემა იმ ქვეყნებშია, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობაა, საყოველთაო დასაქმებაა. ლატაკ და გაუბედურებულ ქვეყნებში არც ერთი ხსენებული სიკეთე არ არსებობს და ვერც იქნება. პოლიტიკოსების შიდაკონკურენცია იყო და იქნება, ამას ხელს ვერ შეუშლით – სანამ დემოკრატიის ნიშანწყალი იარსებებს, მუდამ იქნება პარტიული, ოპოზიციური და მმართველი კლასის კონკურენტული ბრძოლები.

ჩვენ იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ, იქნებ, პოლიტიკური კონკურენციის გარდა, ქვეყანაში გაჩნდეს სხვაგვარი კონკურენციაც. აი, რა გვაქვს მხედველობაში. იქნებ, უტოპიაც იყოს, მაგრამ რასა ვკარგავთ – პოლიტიკოსების გარდა, რიგითმა მოკვდავებმაც ხომ შეიძლება ქვეყნის ამბებზე ვიფიქროთ, ვიმსჯელოთ, გავუზიაროთ და ვცვალოთ აზრები. კარგი და კარგზე კარგია, რომ ამ არჩევნებში ერთი სასიკეთო შედეგი მოგვცა – ქვეყნის ერთ რაიონში მერად არჩეული აღმოჩნდა და საკრებულოშიც უმრავლესობა მოიპოვა არასაქველსუფლო ძალამ. უფრო ძალიან კარგია, რომ ახალარჩეულ მერს მერობა მიულოცეს ხელისუფლების მაღალმა ჩინებმა, თუ არა ვცდებ-

ბი, პრემიერმა, მმართველი პარტიის ლიდერმა და თვით პრეზიდენტმაც კი. თავად მერმაც არ დააყოვნა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი და იმედიც გამოთქვა. ეს უკვე, თუ არ მოგვეჩვენა, პოლიტიკისაგან მთლად არდაცლილი, მაგრამ მაინც პოლიტიკისაგან დისტანცირებული გადალაპარაკება იყო, მხარეებს შორის და ესეც კარგი ნიშანია.

წალენჯიხის რაიონის სახით გვეძლევა შესაძლებლობა, რომ ქვეყანაში გაჩნდეს სივრცე, – არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკურ-სამეურნეო კონკურენციისათვის. ხომ იმუქრება ოპოზიციამ, რომ მას აქვს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან ხსნის და აღმშენებლობის პროგრამა. კი ბატონო, განახორციელოთ თავიანთი პროექტები, სამეურნეო, სამრეწველო, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა სახის განზრახვები, გეგმები, ჩანაფიქრები. უკვე გამოჩნდნენ ენთუზიასტი ადამიანები, ბიზნესმენები, ბანკები, სხვადასხვა პროფესიის პირები, რომლებიც წალენჯიხაში საქმიანობისა და აღმშენებლობის სურვილით არიან მოტივირებულნი.

ერთი რაიონის წარმატებული მაგალითი ხელისუფლებისთვისაც სასიკეთო იმპულსი იქნება და გაჩნდება კონკურენტული მოტივაცია, რომ მათ უკეთესი პროექტები დაუპირისპირონ ოპონენტებს. ამ ე. წ. ეკონომიკურ-სამეურნეო კონკურენციით ორივე მხარე მოიგებს და ყველაზე მეტად მოგებული კი ქვეყანა და მოსახლეობა დარჩება. მსოფლიო ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის, როცა ცალკეული ადამიანები თუ ჯგუფები

ამა თუ იმ ქვეყნის რომელიმე ტერიტორიაზე ახორციელებდნენ თავიანთ ეკონომიკურ თუ სოციალურ პროექტებს. ჩვენშიც იყო ამგვარი მოვლენის პრეცედენტი ცნობილი „აბაშის ექსპერიმენტის“ სახით. მაშინ ისე იყო საქმე, რომ საბჭოთა საქართველოში ცადეს, საბაზრო ეკონომიკის ელემენტები დაეშვათ აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობაში. გლეს დასამუშავებლად აძლევდნენ ერთ ჰექტარ მიწას. თუ ის ორ ტონა სიმინდს მოიყვანდა, ერთ ტონას სახლში ნაიღებდა. კიდევ უფრო მეტი დარჩებოდა, თუ მეტ მოსავალს მიიღებდა. მოკლედ, მცირე ხანში აბაშელი გლეხიც აშენდა და სახელმწიფო გეგმაც შესრულდა.

მაშინ საბჭოთა ხელისუფლება შეშინდა, კაპიტალისტურ ექსპერიმენტს არ ეჯობნა სოციალისტური წარმოების წესისათვის და ექსპერიმენტმა ვერ გაიხარა. ახლა ამგვარი ბარიერი არ არსებობს. საბაზრო ეკონომიკა, როგორც იტყვიან, „გაჯეჯილებულია“. ამიტომ წალენჯიხის რაიონსა და ქვეყნის მთელ სივრცეს შორის თავისებურ სამეურნეო-კულტურულ შეჯიბრს, თუ საამისო ნება იქნება, ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს, თუმცა არსებობს საშიშროება, რომ წალენჯიხის რაიონი არ იქცეს პოლიტიკური დაპირისპირების მორიგ თეატრად. სულ არ არის საჭირო, რომ პარტიებმა ან ტელეარხებმა და სხვა პოლიტიკურ ინტერესთა ჯგუფებმა იქ დაიდონ ბინა, ოფისი თუ ფილიალი ან იქ გადასახლდნენ. იქ უნდა წავიდნენ მხოლოდ ნებისმიერი პროფესიის, სფეროს თუ დარგის არაპოლიტიკური ენთუზიასტები და ჯგუფები. არც ისაა საჭირო, რომ ადგილობრივმა აქტივებმა წამდუნუნ პოლიტიკური განცხადებები აკეთონ და პოლარიზაციულ პროცესებს ნავთი გადაასხან. სასურველია და ასე გვეგონია, რომ, რაც უფრო ნაკლები იქნება პოლიტიკა და რაც უფრო მეტი იქნება სამეურნეო-სამრეწველო, ეკონომიკური თუ საგანმანათლებლო აქტივობა, მით მეტად და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება წალენჯიხის ექსპერიმენტი პოზიტიური იმპულსი მთელი ქვეყნისათვის.

თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ექსპერიმენტი მშვიდობიანი და სამშვიდობოა.

„ლ“ ანკეცა

ბულის ფიცარზე ალბაქდლი

პროზა

პოეზია

ფესტივალი ჩვენებურად



შალვა ნიგვაშვილი

გვ. 3



გ. მ. გვიშვილის მეშუაგანად

გვ. 4



ლევან ლორია

გვ. 6-7



ანა ნატყვიანი

გვ. 8



ლიკა ქაჯიანასიანი

გვ. 12

სანუთრო ზოგჯერ გვაზიარებს... თამაზ ნივნივიძის ხსოვნას

და ცინცხალი ნაზრევით სიცოცხლეშივე დაიგდა უკვდავების ძეგლი; ჩვენ, მისმა მეგობრებმა, უცებ ალლო ვერ ავუღღებთ თამაზის ქარიშხალივით შემოჭრას ქართულ მწერლობაში, ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში, და როცა ჩავწვდით მისი წერილების მხატვრულ-იუმორისტულ და პუბლიცისტური აზროვნების სიღრმეს, უფალს მაღლი შევნიშნეთ ამქვეყნად თამაზის მოვლინებისათვის. ნაღდი მეგობრობა და სიყვარული იცოდა, ადამიანების, მეგობრების ჭეშმარიტ სიყვარულში ხედავდა მამოძრავებელ ძალას, ეს იყო მისი ბედნიერების წყარო შინ თუ გარეთ. უკომპრომისო იყო მედროვეებისა და გაიძვერების მიმართ, ფუჭი ლაპარაკი არ უყვარდა. ვერ იტანდა სიყალბესა და ლალატს; ერთგულებასა და პატიოსნებას, რაც ოჯახიდან, მამა-პაპათაგან მოსდგამდა, დიდ პატივს სცემდა. მეგობრებისთვის არაფერს დაიშურებდა. ყველას ხელს გვაშველებდა. როგორც ლალი იყო, როცა სტიპენდიას აუღლებდით, ჩაუყვებოდით ვარაზისხევის, ქუჩის ბოლოს, გმირთა მოედანთან, ძია ვანოს ცნობილი სასაუბრე იყო. ყველა ბიჭი, თოთხმეტივე თანაკურსელი, სულ მის გვერდით ვიყავით, ყოჩიც ის იყო და თამადაც. მისთვის მთავარი სიამოვნება მეგობრებთან ერთად ყოფნა იყო; უტყუარი, ჭირსა შიგან მისაყრდნობი, ყველას გამკითხავი და ქომაგი. საოცარი მოფერება იცოდა, - ბუნებით იყო ასეთი, ყველაფერში ღვთისგან მომადლებული ნიჭი ჰქონდა, სულ მოწესრიგებული და პენიანი იყო, ნუნს ვერაფერში დასდებდი. სამშობლო იყო მისი ჯვარცმა და ხატი. წმინდა ტაძარი და სალოცავი...

დღეს მაშინდელი ჯგუფელებიდან თერთმეტი დავრჩით, თერთმეტმა კი, სამწუხაროდ, აღსავლის კარი გაიხურა და ზეციური საუფლოს ბინადარი გახდა. თამაზის გარდაცვალებამდე ოთხი თვით ადრე, უნივერსიტეტული მეგობარი ოთარ იაშლაშვილი გამოეთხოვა წუთისოფელს; თამაზის დაავადებით, ჩვენმა დამ, ელისაბედ მეტრეველმა დამირეკა, ეს სამწუხარო ამბავი მამცნო და თამაზის დანაბარებიც გადმომცა, ჯემალმა დაკრძალვის დღე თანაკურსელებს გააგებინოს; იმ დღეს ტაბახმელის გასასვლელთან შეიგმა მეგობარმა მოვიყარეთ თავი, ჩვენი კეთილი ოთარი, რომელთანაც თამაზის თავკაცობით ხშირად ვქეიფობდით, გულით და გეიტრით და შემდეგ ტაბახმელის ერთ მყდრო დუქანში შესანდობარი დავლიეთ; ახლა, როცა იმ საღამოს ვისხენებ, ტკივილს ვგრძნობ, - თამაზის თამაობა და სადღეგრძელოები ღმერთების ტრაპეზს ჰგავდა, ღვთაებრივი სიტყვებით მოეფერა ყველას, ვინც თამაზზე ადრე დაჰყვა უფლის ნებას. არაჩვეულებრივი ბიჭები იყვნენ, ერთიმეორეზე უკეთესები, თბილი და ულაღატო მეგობრები...

გასახსენებელი ბევრი მაქვს, ჩვენი მეგობრობის მანძილზე ბევრჯერ ვყოფილვარ მისი სუფრის მონაწილე, ბევრჯერ მომისმენია მისი განუმეორებელი თამაობა ყვარულში „ილიაობაზე“, ჩარგალში „ვაფაობაზე“, კვახტორში საოჯახო საღამოზე, სადაც ქართველ მწერალ მეგობრებთან ერთად ჩვენი უნივერსიტეტული მეგობრებიც ესწრებოდნენ... 1991 წლის აპრილი იყო, რიცხვი არ მახსოვს, თამაზმა დაგვირეკა და ვახტანგ ნივნივიძისთან ერთად რესტორანში „ქალაქურში“ მიგვიპატიუა, - ირაკლი აბაშიძე იქნება ჩვენი სტუმარი, თქვენი ნახვა გაუხარდებო; ვახტანგი (დღეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელოვანი კანცლერი) და მე რესტორანში ადრე მივედით; ხუთი საათი იქნებოდა, თამაზი, ირაკლი აბაშიძე და როინ მეტრეველი მოვიდნენ. დარბაზში შემოსულ ღვანდომოსილ პოეტს ყველამ ყურადღება მიაქცია, ღმილით შეეგებნენ მის გამოჩენას; ბატონი ირაკლი მშვენიერი ფორმით იყო, თვალეზი მუქი ედგა, შემოვიდა და თავისი ბუბუნა, ხავერდოვანი ხმით შემოგვძახა, - ხონელებს გაუმარჯოსო... ესიამოვნა თამაზის გვერ-

დით ჩვენი დანახვა. თბილად მოკითხვის შემდეგ ირაკლი მოგვიბრუნდა და გვეუბნება: - ახალგაზრდებო, ხონში ჩემი 70 წლის საიუბილეო დღეები არ დამიწყებია, კარგად მახსოვს თქვენი ყურადღებაო. ხონი ძალიან მიყვარს, ქარჩხაბთან, ჩემს ადგილის დედასთან და ხონის საოსტატო სემინარიასთან ბევრი რამ მაკავშირებსო... თამაზი მთელი საღამო ენამზებოდა, საამო განწყობა სულში ჰქონდა ჩაბუდებული, მისეული ხალისითა და იუმორით თამაობობდა, ტკბილად ოხუნჯობდა... თამაზი და ბატონი როინი დიდი სიყვარულით მოეფერნენ ხანდაზმულ პოეტს, ბევრი რამ გაიხსენეს, იცინეს და ილალობეს; თამაზმა „ხმა კატამონთან“ - „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“ ტკბილად წაიკითხა, მათ არც ვახტანგი ჩამორჩა, ოსტატურად წარმოსთქვა ცნობილი ლექსი „მამას“...

უკვე კარგა გვარიანად შებინდებული იყო, ბატონი ირაკლი სუფრიდან წამოიწია და მამაშვილური სიყვარულით თამაზს შუბლზე აკოცა, თბილად მოგვეფერა, - ახლა კი დროა, ჩემო თამაზ, ნავიდე, თორემ წელი სახლში არ შემიშვებსო, იხუმრა და ტკბილად გაიცინა... იმ დაუვინყარ საღამოს დღესაც სიამოვნებით ვისხენებ, ვიგონებ თამაზის შეუდარებელ თამაობასა და ენამჭევრობას...

ვთქვი და ბევრჯერ გავიმეორებ: თამაზ ნივნივიძე დღენიადაც სამშობლოზე ფიქრობდა, მისი ბასრი კალამი ხან მინისა იყო და ხან ცისა. გვმოდერავდა, გვაფხიზლებდა და გვამხნეებდა, მომავლის იმედს გვინერგავდა. საოცარი იყო მისი უკიდევანო აზროვნება, ნათელმხილველობა და წინასწარ განჭვრეტის უნარი; იწინასწარმეტყველა და ლოზუნგების ქვეყანამ თავისი დღე მოჭამა, საბჭოთა იმპერია აღესრულა; თამაზმა ჯერ კიდევ როდის, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იმიშვლა პუბლიცისტის ბასრი დაშნა და ბოლო ამოსუნთქვამდე იყო ქართული სიტყვის, ქართული ენის, მამულისა და სარწმუნოების დაცვის სადარაჯოზე... ერს როცა ჩასთვლიდა და ჩაეძინა, თამაზმა არ დააყოვნა, ზარები დაარისხა და ყველას გასაგონად თქვა: „გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ“. სახელოვანმა კალმოსანმა და მამულიშვილმა ამ საოცარი წერილით საზოგადოებას მოუწოდა გამოფხიზლები-საკენ, რათა დაგვეცვა საკუთარი ღირსება, ზნეობა და მორალი, ქართველობა. თამაზის ეროვნული ცნობიერებით გაჯერებულმა უზადო ლიტერატურულ-კრიტიკულმა წერილებმა ძილისპირულიდან გამოიყვანა ქართველი ერი. ის ერთადერთი კალმოსანი იყო, ვინც დაიკავა უკომპრომისო, შეურთგებელი პოზიცია უდღერო საბჭოთა სინამდვილისადმი...


ოთხი წელი გავიდა თამაზის გარდაცვალებიდან, ზეციურში ამაღლდა, როგორც ღვთის შვილი, მამულის მეციხოვნე და მეჭირისუფლე, ზემოდან დაგვეცქერის და კვლავაც ქვეყნის ავ-კარგზე ფიქრი არ ასვენებს; იგი სიცოცხლეშივე გახდა ჩვენი თაობის (და არა მარტო ჩვენი თაობის) იდეალი, ახალგაზრდობის მისაბაძი მაგალითი; მან თავისი მართალი, სიბრძნით გამორჩეული და პრინციპული ნაზრევი მთელ საქართველოს უწილდა, ამიტომაც სარგებლობდა შეუვალი და დიდი ავტორიტეტით...

ნავიდა და დარჩა მისი მარადეამს უკვდავი სახელი; იცოცხლა, იღვანა და დატოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რითაც ერის ჭეშმარიტი სიყვარული დაიმსახურა; ამის დასტურია მისი სათაყვანებელი დის - დოდო ნივნივიძის მიერ დიდი სიყვარულითა და რუდუნებით გამოცემული ნივნივიძის: „თამაზ ნივნივიძის შინ და გარეთ“ და „ქვეყნის ამბები, ანუ ესეი საქართველოს უახლესი ისტორიიდან“.

ყამთა სიყვე მის ნაღვანთან ვერას გახდება, რადგან მან ღირსეულად მოიხადა ვალი საფიცარი სამშობლოს წინაშე...

ჯემალ გორდულაძე
გაზეთ „ხონელის“ რედაქტორი


ერთი ადამიანის სიხარული მეორე ადამიანთანაა დაკავშირებული. განა არ თქვა ჩვენმა დიდებულმა მუხრანმა: „ჩემი სიხარული უფრო სიხარულობს, ვიდრე რომ სიხარულობს, ის რომ სიხარულობს“. თამაზ ტყემალაძე მუდამ იყო ჩემთვის ადამიანი, ვისი მეგობრობითა და ნიჭიერებით მუდამ ვსიხარულობდი. და არა მხოლოდ მე, ამ კაცმა თავისი არსებობით, თავისი შემოქმედებით ბევრჯერ გაახარა მთელი საქართველო, გაახარა მასთან მყოფობით, მასზე ზრუნვით, მისი სულისა და გულის ცნობის კარნახით. ის მუდამ განასახიერებდა სიკეთეს და თავდადებას თავისი მამულის საქმეთა მიმართ. თამაზი დაბადებული იყო ბავშვების სულის ოსტატად და, მიუხედავად სახელმწიფო სამსახურში არაერთხელ თავის გაყოფისა, მასწავლებლის მძიმე პროფესია არასდროს არაფერზე გაუცვლია. ჩვენს თვალყურს სწვდება ღვანლი და სახელი ისეთი დიდი მასწავლებლებიდან, როგორებიც იყვნენ მიხეილ ზანდუკელი, ვასილ აბდუშელიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, სიმონ სხირტლაძე და კიდევ სხვა მამაკაცი პედაგოგები, რომელთა რანგშიაც ირიცხება თამაზ ტყემალაძე.



თამაზ ტყემალაძე

თამაზს მრავალი მიზეზი ჰქონდა, თავი დაენებინა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მაგრამ არაფრით არ გააკეთა ეს და ამაში ვხედავ მისი ხასიათის მშვენიერებას, მის დიდ უნარს - ხედავდეს საჭიროებას თავის თავისას სამშობლოს სამსახურში იმ ადგილას, სადაც ყველაზე მეტადაა გამოსადეგი. ეს სამსახური მან მოვალეობად მიიჩნია და ამ მოვალეობას თანმიმდევრულად ერთგულებდა მუდამ. რაც შეეხება შემოქმედებას, ეს უკვე მისი ნიჭის გამოვლინება იყო. ეს იყო მოღვაწეობა, რომელიც დაუკავშირა ქართველი ერის დიდ ადამიანებს. მისებურად დახატული ვახტანგ მეექვსის, ერეკლე მეორის, ანტონ პირველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ბესიკის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ლადო ასათიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, ირაკლი აბაშიძისა და კიდევ სხვათა და სხვათა შესანიშნავი პორტრეტები, დაახლოებით ათასი საათის ქრონომეტრაჟის მასალაა. ესაა წინაპართა გაცოცხლებული ღვანლი და თამაზის ბუბუნა ხმით მოდებული მთელ საქართველოს. მისი ცნობილი საავტორო გადაცემები „დალოგები საგურამოდან“, „საუბრები მწერალთა ბალიდან“, „ამერ-იმერი“, „თბილისის ყოფა და კულტურა“ და სხვანი და სხვანი ყოველთვის პასუხობდა ხალხის გულისთქმას, მის მოთხოვნასა და ზოგად თემას სამშობლოს ღირსებისას, რომელიც მუდამ ზის ხალხის გულში. ამიტომ შეიყვარა იგი ამ ხალხმა და მისცა სახელი სახალხო კაცისა. თამაზ ტყემალაძე - მეგობრობის შემწივებელი და მათ შუაში ბერასავით მდგარი, სუფრის სული და გული, ლექსის სიმღერით მთქმელი, აზარტული, წუთისოფლის შემცნობელი და სიყვარულის დამფასებელი. 50 წელზე მეტი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა, ყოველი დღე მასთან ვატარებულ სიხარულის დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში. ღმერთმა დაუშკვიდროს სასუფვეელი.

ელდარ ნადირაძე



ასაკით ტოლები ვიყავით, მე პირველში, თამაზს კი ოთხ იანვარს 80 წელი შეუსრულდებოდა... და რა გასაკვირია, რომ ამ ასაკის კაცს გარდასულ დღეთა მოგონებები მოეძალოს.

დედა უნივერსიტეტის ურნალისტა 754-ე ჯგუფში ოცდაორი სტუდენტი ვიყავით, ბევრი ნავიდა, ცოტანი დავრჩით, თითზე ჩამოსათვლელი. სამწუხაროდ, მათთან ერთად გაქრა ჩვენი ლამაზი და დაუვინყარი შეხვედრების ტრადიციები. ჩვენს ჯგუფში ყველა ბეჯითი, შრომისმოყვარე, ღვთით მომადლებული ნიჭის კალმოსანი იყო... და მაინც, თამაზ ნივნივიძე, თეიმურაზ მეტრეველი, რაულ ჩილაჩავა, მანანა ვახტანგაძე... წერის კულტურით, ნაღდი ქართული მეტყველებით, პუბლიცისტური აზროვნებითა და ხალასი იუმორით ყველასგან გამოირჩეოდნენ.

იუმორი თამაზის მუდმივი თანამდევნი იყო... ჩვენი საყვარელი ლექტორის, ნოდარ ტაბიძის ლექციაზე ისეთ სამკვარანცხოს იტყოდა, სიცლით გადაბჟირდებოდი, ტონს თავად ნოდარი გვაძლევდა, მისი ყოველი ლექცია სილალითა და იუმორით იყო გაჯერებული, რაც თამაზს ძალიან მოსწონდა და ნოდარს აღმერთებდა.

თამაზი თავისი გამორჩეული ბუნებით, გამტანი სახიათის გამო პირველი კურსიდანვე საყოველთაო სიყვარულით იყო გარემოსილი; პურის ჭამის დროსაც მახვილგონივრულ სალალობო სხარტულეებს აცხობდა, სადაც ყველა ჩვენგანის ხასიათის დამახასიათებელი თვისება მიგნებული და ლაკონიური იუმორით იყო წარმოჩენილი. იყო გაუთავებელი სიცლილი და ზოგჯერ ღმილდაფენილი ბუტიაობაც. მისმა ლამაზად მოქნულმა კალამბურებმა, შთამბეჭდავმა შტრიხებმა თამაზისადმი სიყვარული და მოკრძალება ჩავვისახა. მასთან მეგობრობამ ნათელი, წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენზე, იგი თავისი განუმეორებელი ხიბლით, დარდიმანდობით, ვაყვაცური სულით გვიზიდავდა, მის სიტყვას ფასი ჰქონდა, მტყუან-მართლის გარჩევა იცოდა, მოკრძალებას გამოხატავდა და თავყვანს სცემდა ქალის ღირსებას...

ერთმანეთს პირველი კურსიდანვე შევეწყვეთ, ბოლომდე ჩემი იმედი და ფარი იყო, მისმა წონიანმა სიტყვამ ბევრჯერ ამინია თამასა, გამახარა და წინ წამწია. თეიმურაზ მეტრეველი, რეზო აინურაძე, პალიკო გენაძე, ჯემალ კვერენჩილაძე, სერგი მინაშვილი მისი ნაღდი და გაუზზარავი მეგობრობის, ლამაზი საღამოებისა და გულითადი პურობის მუდმივი თანამეინახეები იყვნენ. მოხიბლული ვიყავით თამაზის იუმორისტული მოთხრობებით, რომლებიც პირველი კურსიდანვე ურნალ „წინაგში“ იბეჭდებოდა. თეიმურაზ მეტრეველთან ერთად არაერთხელ ვყოფილვარ „წინაგის“ მაშინდელ რედაქტორთან, დაუვინყარ ნოდარ დუმბაძესთან და არაერთხელ მოგვისმენია მისი პირუთენელი შეფასება, - თამაზი თავის იუმორისტულ ნაკვესებას და ჩანახატებში ხნლას იუმორთან ერთად გულის ცრემლს აყოლებსო... თამაზი დიდი ერთგულებითა და სიყვარულით ემსახურა მამულს, თავის მშობელ ქვეყანას. მან თავისი ბრძნული



თანამედროვე ქართული მოთხრობა: გეგმა და სინაქსი



შალვა იოსაძე

1. თქვენი აზრით, როგორ აისახება თანამედროვე ქართულ მოთხრობაში დღევანდელი, პიროვნულ-საზოგადოებრივი პრობლემები?
2. რა თემებს უნდა მივაძვიროთ ავტორებმა ურადღებამ?
3. როგორ წარმოგიდგებათ ავტორის, როგორც პროზაიკოსის, ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი სახე: მასში ლიტერატურული უფრო მეტია თუ ცხოვრებისეული?
4. თქვენი დაკვირვებით, რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოთხრობაში მხარის ავტორობაში?
5. როგორ იხატება თანამედროვე ქართული პროზატიკის სახე, მხატვრული ტიპი?
6. ხდებოდა თუ არა შინაგან კავშირს თანამედროვე ქართულ მოთხრობასა და ქართულ კლასიკურ (მე-19-მე-20 საუკუნეების) პროზას შორის?
7. რა განსხვავებაა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქვეპროზატიკის სტილსა და დღევანდელ თანამედროვე სტილს შორის?
8. როგორ აფასებთ თანამედროვე მხატვრულ და სიუჟეტის განვითარების ტექნიკას?
9. გაქვამოფილავთ პროზის ენა, ანუ ქართული, როგორც ასეთი?
10. რამდენად მოქმედებს პროზაში ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შაქტორი?
11. თქვენთვის მისაღებია თუ არა მხატვრული თანამედროვე დაყოფის ტანდემი: „დამოუკიდებელი“, „ახალგაზრდა“, „გამოცდილი“, „ცოცხალი კლასიკოსი“ და ასე შემდეგ.
12. სად უფრო ხშირად კითხულობთ მოთხრობას – გაქვამოფილავთ თუ ინტელექტუალურად?
13. ვიღო დროს ვისი მოთხრობა მოგინდებოდა?
14. დაასახელეთ თანამედროვე (მოქმედ) ქართული პროზატიკის ხუთი ავტორი.

1 მე ვფიქრობ, უპირველეს ყოვლინაში, გასარკვევია თუ რა არის ის „ათვლის წერტილი“, რომლის მიხედვით უნდა შევფასოთ თანამედროვე მოთხრობა. ანუ, უნდა გავიკვლით, არსებობს თუ არა ის „ნიშნები“, რომელიც შეძლებს მათ საზომ-კრიტიკულად იქცეს? ან, სხვაგვარად, შესაძლებელია კი ვთქვათ, რომ არსებობს რაღაც ტენდენცია, მიმდინარეობა, მოდა, გემოვნება მოთხრობის... აი, ამ ყველაფრის საერთო „ყოლა-ბა“ (თანამედროვე ტერმინით – „მიქსი“), რომელიც აერთიანებს იმ კულტურულ სივრცეს, რასაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ თანამედროვე ლიტერატურა, ამ კერძო შემთხვევაში კი თანამედროვე მოთხრობა? ანუ, საკითხავია, რა არის ან რაში მდგომარეობს მისი განვითარების, მისი დაბადების „ათვლის წერტილი“?

აქსიომაა, რომ ყოველი კულტურული სივრცე დროის ნიშანს, დამლას ატარებს. ნანარჩები ხომ დროის პრიზმაში „გადის“, მის მიერ „ინერება“. ყოველ შემთხვევაში, ყოველი გენიოსი თავად დროის კარნახით, მისი შეგრძნებით წერს, მისი რუპორია.

უდავოდ გასააზრებელია ისიც თუ რა გახდა წყალგამყოფი თანამედროვე ლიტერატურასა და ძველ საბჭოთა, უფრო ზუსტად, კლასიკურ ლიტერატურას შორის?

თუ ვერობის ქვეყნებში (შეიძლება ეს ჩემს სუბიექტურ აზრდაც მოგეჩვენოს) მალევე იჩინა „მავი კვადრატის“ (რომელიც სულაც არ გახლავთ შედეგი) იქცა ერთ-ერთი წყალგამყოფი თანამედროვე კულტურული სამყაროსა და ძველ კულტურას შორის და თითქოს ეს სურათი იმ „წერის“ ფუნქციას ასრულებს (ისევე ჩემი სუბიექტური აზრით), რომლის თანახმად ძველი კულტურის ღირებულებები – „ყველაფერი“ უნდა „ნაგვალთ“, როგორც შავ დაფაზე ცარცი დაწერილი სიტყვები, ის ისეთივე „პოტენციალი“ ატარებს, როგორც ფრიდრიხ ნიცშეს სიტყვები „ღმერთი მოკვდა!“, როგორც ადორნოს სიტყვები, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადამიანის ღირებულებებზე საუბარი მხოლოდღენ ლაბორატორიაში.

(ხაზგასმას გავაკეთებ, რომ ჩემთვის ეს პროცესები უარესად მოუღებელი და ტრაგიკული განცდის მატარებელია). რაც შეეხება ჩვენთან, საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი წყალგამყოფი გახდა დათო ბარბაქაძის ფსევდოაგოგრაფიული ქრონიკა „ტრფობა ნამებულთა“, რომელსაც იმავე როლის შესრულება ევალებოდა, როგორც მალევე იჩინა „მავი კვადრატის“ – „ნაგვალთ“ არა მარტო ქართული კულტურის ყველა მნიშვნელოვანი ტექსტი, არამედ ხაზგასმით „წმინდანთა“ და აღიარებული „წმიდა ტექსტისა“ და ჩაფიქრებული „ძრავაც“ ამოქმედდა: დაინერგა ლამაზ ბუღაძის „ახალი რუსი“, ტექსტი წმიდა თამარ მეფეზე ძველი წარმოდგენა, ლეგენდა-ტექსტის გადაფარვა რომ ემსახურებოდა, ნაშლის მეთოდით. ასეთივე პრინციპით დაინერგა პაატა შამუგის „ანტიტყაოსანი“, დეიანის „საიდუმლო სირობა“, აკა მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე“, რომელშიც ქართველი ერის საყვარელი პერსონაჟის – დათა თუთაშხიას, მისი მალაღობი იდეალების „ნაშლა“-ნიველირება მოხდა. ზურაბ ქარუმიძის უკლებლივ ყველა პროზაული ნაწარმოები ამ დეკონსტრუქციის სულითაა შთაგონებული და ა.შ და ა.შ.

ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ არ გავითვალისწინებთ ყველა ნიშანს, ვერ გავაანალიზებთ თანამედროვე მოთხრობას.

ამის იქით უნდა „ნავიკითხოთ“ ამ ამოქმედებული „ნაშლის“ შედეგი – ყველა ღირებულების ნიველირება რომ განკარგავს, და მხოლოდღენ შიშველი ფაქტების ასახვის უფლებას რომ გვიტოვებს. ზოგიერთი (საქართველოში, და არა მარტო აქ) ისევე განაგრძობს წერას „ჩაქურჩის“ პრინციპით, ყველა ღირებულების „დაგრევის“ პათოსით, რაც, ჩემი აზრით, არაფრის მომტანია. ზოგან ეს გაცნობიერებული და ხელოვნურად უტრირებული პროცესია, ზოგან კი ეს ქვეცნობიერად ჩაილექა.

რ. პასი აღნიშნავდა, რომ თანამედროვეთა ეს ცდები წარმოადგენს „სოლიდის ვიტალურ ჩიხს და ეს არის გზა არსაით“. მე ვფიქრობ, როცა ასეთი დიდი მასშტაბის მოაზროვნე ასეთ მკვეთრ განაცხადს აკეთებს, ამას გულდასმით უნდა სწავლობდეს მოაზროვნე კაცობრიობა, რაც, სამწუხაროდ, დღეს არ ხდება.

მე გაეცანი იმ ქართველ ავტორებს, რომელთაც შეძლეს, შეექმნათ ღრმა, მეტაფორულ-გამომსახველობითი ტექსტები, ოღონდ რატომღაც სწორედ ამ ავტორებს ნაკლებად იცნობს ქართული საზოგადოება.

ასევე შეიქმნა ნიჭიერი მწერლების მიერ დაწერილი მეტაფიზიკური მოთხრობები, მაგრამ თითქმის უკლებლივ არადაამაჯერებელი ამბობს. ცხადია, როცა მეტაფიზიკურ შრეში მუშაობ, თავისთავად ტექსტი ჩნდება რაღაც ფანტასტიკური, საიდუმლოებით მოცული ამბებიც, მაგრამ ეს უნდა მოგვეწოდოს ზომიერად და, რაც მთავარია, დამაჯერებლობის, ანუ როგორც პარადოქსულად უნდა ფიქრდეს: ამბავი რეალურობის შეგრძნების სიციხადით უნდა შემოვიდეს ნანარჩებში.

2. ზოგი ფიქრობს, რომ თემის არჩევანი, და ზოგადად, მწერალი სახეობით თავისუფალია. არადა, მისი თავისუფლება მისი პასუხისმგებლობით არის დასაზღვრული. რა არის პასუხისმგებლობა?

პასუხისმგებლობა ადამიანად ყოფნა. მისი მთავარი წარმმართველი კი სინდისია, რომელიც ზეცის კარნახით მოქმედებს. თემა უნდა ასახავდეს ადამიანად ყოფნისა თუ ვერყოფნის ტრაგედიას – არა აქვს მნიშვნელობა, რა სიუჟეტი შეიქმნება ამ თემისგან.

3. მე ასე ვპასუხობ, და ამ შემთხვევაში, სულაც არ ვიქნები ორიგინალური: მთავარია გამოცდილება, ცხოვრებისეული გამოცდილება, მაგრამ ამ გამოცდილებამ (მისი ნამდვილი სახელი ხომ ტანჯვაა) არა მარტო უნდა გამოაღვიძოს მწერალი და მესხიერება უბოძოს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი სული უნდა გარდასახოს, მას ფორმა მისცეს, რომელიც ამ მწერლის სახეა. ცხოვრება დიდი მასწავლებელია, რადგან ის თავად „მოლტობს“ მიერეკება მწერლის გრძნობებს, ემოციებს, „ჯოხით უთითებს“ მას რაღაც აზრებზე; ხანდახან კი „ცეცხლით დაწვითაც“ ეშუქრება; და სწორედ მაშინ იღვიძებს მწერლის მთავარი პერსონა – მისთვის ასე ახლობელი, და მაინც უცნობი – სინდისი. სწორედ ის ავსებს მწერლის ნიგნის საუკეთესო ფურცლებს.

მთავარია განათლება, ღრმა ცოდნა და არა მარტო ლიტერატურა. სულაც არ არის საჭირო, ათი ათასი წიგნი წაიკითხო. არა, რამდენიმე მწერლის „შედეგის“ შესწავლაც კი საკმარისია. ყურადღება უნდა მიექცეს ეპოქის განმაპირობებელ ღირებულებებს, აქცენტებს და იმ ნანარჩებებსაც, რომელშიც ის აისახა. შეიძლება ასეთი ტექსტი სულაც არ წარმოადგენდეს შედეგს, მაგრამ იყოს უარესად მნიშვნელოვანი...

და ასევე მთავარია შრომისმოყვარეობა, თუმცა როცა ადამიანს მართლაც მნიშვნელოვანი სათქმელი აქვს, თავად ეს მდგომარეობა (თითქოს „იხრობა“) აიძულებს მას, იმუშაოს. ის ხომ ვერ იცოცხლებს, თუ თავის ამ „გამანადგურებელ“ სათქმელისაგან არ განათავისუფლებს.

დაიხ. მთავარია ყველაფერი. რამდენი ავტორის პასუხი „მომისმენია“ ამ კითხვაზე. და თითქოს ისინი ერთი ხმით, ერთსა და იმავე ფრაზას წარმოთქვამენ: 99% ცხოვრების გამოცდილება; 99% ნიჭი; 99% განათლება; 99% შრომისმოყვარეობა; 99% დისციპლინა.

4. მწერლის ბიოგრაფია განსაზღვრავს, ვერალო, ის არის ის საფუძველი, რომელიც ქვემდინარეა მის ნანარჩებებში ასახული ყველა ამბის, სიუჟეტის, პერსონაჟის ხასიათისა თუ ქცევისა.

ყველაფერი ბიოგრაფიაში „დამარხული“ თუმცა, ბიოგრაფიის მშრალ ფაქტებს სულაც არ ძალუძს ასახოს მწერლის ის ღრმა განცდა, ის ფარული ნუხილი, რაც ამა თუ იმ ფაქტს ემის. მაგ: არცთუ მდიდარია გენიალური პოეტის, გალაკტიონის ბიოგრაფია ფაქტებით, მაგრამ ყოველი მისი ცხოვრების საათი, მისი ყოველი წუთი თუ წამი საუკუნის სათქმელს ემბოდა. და ცნობილია, რომ მან ერთხელ იხუმრა კიდევ: ჩემი ბიოგრაფია, აი, ეს ლექსებიაო და თავის ტომეულებზე მიანიშნა. და თუმცა მწერალი გალაკტიონის ბიოგრაფია, მაგრამ მაინც იმ ბიოგრაფიულმა ფაქტმა (ის კაცებზე რამდენიმე დღით დააპატიმრა. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა იქ) აქცია გალაკტიონის სხვა ხმით მოლაპარაკე აქტიორად, იმ „ჯადოქრად“, რომელსაც „ცხოვრებაში ვეღარც კი ცნობდნენ“.

ბიოგრაფია არის სამოსი, რომელიც „გვიძულებს“, გამოვიხატოთ და რომელიც ჩვენ სულიერ შინაარსს „მიმართულებას აძლევს“.

„ნამდვილი ბიოგრაფია“ კი, რომელიც მწერლის ნანარჩებშია ჩამალულ-ჩასადიდუმლოებული, მხოლოდ კარგ მკითხველს შეუძლია ამოიკითხოს.

5. თანამედროვე მწერალს აქვს არა აქვს მნიშვნელოვანი სათქმელი. ამაში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ იმას, რომ მან ვერ შექმნა თანამედროვე ქართველის კრებითი სახე, მხატვრული ტიპი.

თანამედროვე მწერლისთვის სავარაუდოდ კითხვის ასეთი ფორმაც ხომ შეეძლოდა. რადგან „დღეს“ თითქოსდა აღარ არსებობს ზოგადობა, კრებითი სახე.

ერთგან პაატა ჩხეიძე განმარტავდა, რომ „XX საუკუნის მიწურულს ესთეტიკა საბოლოოდ მოსწყდა ვითაც და მარტო აღმოჩნდა სულ მალე დასაბამი მიეცემა სრულიად ახლებურ ხედვას, ახალ რეაქციას, და ეს იქნება რეაქცია სწორედ რეალობის გაქრობაზე“.

ძნელია, ახლა ინინანარმეტყველო, რა პროცესები განვითარდება მომავალში, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურაში (ეს ყველას არ ეხება) თანამედროვე მხატვრულ ტიპში (სულაც არ ეჭარბებს) გამოიკვეთა საკუთარი თავის დამცრობის მანიკური ტიპობა, საკუთარი მეობის, საკუთარი ქვეყნის, მისი ფესვებისა და ტრადიციების ხელოვნური, თვითმიზნური უარყოფა.

მაგრამ ყველაზე საგანგაშოა, რომ ამ დროს ავტორის ინტონაცია რჩება ზერულე, გულგრილი. ეს არ არის გოდება, ეს არ არის სერიოზული ჩაღრმავების თანამდევ პროცესები, რასაც ძალიან დიდ საფრთხედ მოვიხსნებ.

ვიმედოვნებ, რომ დამთავრდება ეს უმძიმესი ხანა – ეს „შატალო“ და ხელოვნება ისევე მწყურვალედ მიუბრუნდება არისტოტელეს ესთეტიკას – ხელოვნება ისევე და ისევე „შეცოდებისა და შიშის აღძვრის საშუალებით ვნებათა კათარზის სისრულეში მოიყვანს“.

6. მე ვფიქრობ, თანამედროვე რამდენიმე ავტორის პროზას (მოთხრობას) ურთიერთობა აქვს მე-19, მე-20 საუკუნეების პროზასთან. ოღონდ ეს ურთიერთობა ცალსახად ემსახურება მათ ახლებურ ინტერპრეტაციას. უფრო ზუსტად კი მათ პოსტმოდერნისტული გადათამაშებისთვის მასალად გამოიყენება. ხშირ შემთხვევაში ეს ჩემთვის მოუღებელი „თამაში“.

ბოლო თანამედროვე ავტორთა უმრავლესობა კი თითქოს გაუცხოვდა თავისი მშობლიური ლიტერატურისაგან. იგრძნობს ამერიკული ლიტერატურის ზეგავლენა. ამაში არც არაფერია მიუღებელი. ამგვარ დისტანცირებას ისეთივე სასიკეთო ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, როგორც შორეულ მოგზაურობას, როცა სულ სხვა რაკურსიდან ხედავ შენს ქვეყანას, ტრადიციებსა თუ ზნე-ჩვეულებებს. ეს კი უზომოდ აფართოებს შექმნების დიაპაზონს, რაც მომავალში საინდარია ქართული ლიტერატურის სრულყოფისა, რაც თანამედროვე ეპოქის სათქმელთან თანმიმდევრულ მოქმედებას.

7. განსხვავებაა დიდი. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქვეტექსტურ სტილში ტოტალიტარული რეჟიმისაგან ტაბუირებული სათქმელის მოქცევა ხერხდებოდა. ამ „წნეხმა“ და იძულებამ უამრავ იდეას თუ ჩანაფიქრს შეასხა ხორცი.

რაც შეეხება ქვეტექსტური სტილის რაობას, მიმარწნია, რომ ის ნანარჩებში ყოველთვის უნდა არსებობდეს და „მუშაობდეს“. რადგან არა მარტო ქვეტექსტი, და მაინც ხაზგასმით ის, ბევრწილად ნანარჩების არა მარტო საიდუმლო ვუაღს ქმნის, არამედ განაპირობებს მისი სინამდვილის სავესტობასთან მიახლებას.

8. თანამედროვე მწერლები შესანიშნავად ფლობენ როგორც თხრობის მანერას, ასევე სიუჟეტის განვითარებასაც. სამწუხაროა, რომ თანამედროვე მწერლების უმრავლესობას სრულყოფილი ტექნიკა აქვს, მაგრამ არა აქვს მთავარი – მნიშვნელოვანი სათქმელი. თუმცა ვხედავ დიდ პოტენციალს.

9. ენა მიმართულებას აძლევს მწერლის სტილს და ის არის მისი ერთგვარი ავტოპორტრეტი, მასში ძვეს მისი „პალიტრის ფერები“.

და რა ხდება ქართულ ლიტერატურაში?

ერთი მხრივ, რამდენიმე ბენდიერი გამოჩნდის ენის თავნყარის ენაფება, მისით საზრდობს და ამ შემთხვევაში არა მარტო ამბავია ქართული, ის „სინამდვილედ იქცევა“, რადგან სწორედ, ისევე ჰაიდგერს მოვიხმობ მწედ, ის მიგვიძილება „ყოფიერების ლიპობის გულში“.

უმრავლესობა კი თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს არის ტაბუდადებული სიტყვების წარამარა, თვითმიზნურად მოხმარება, გახშირებული ფარგონიზმი, სკაბრუზი, სლენგი, ულტარული გამონათქვამები. და, რაც მთავარია, იგრძნობა ამით თვითმიზნური კოცება. ცხადია, როცა სინამდვილის ასახვისთვის საჭიროა უხამსი სიტყვა, ის უნდა დაინერგოს კიდევ, მაგრამ ის აუცილებლობამ უნდა გამოიხმოს.

მე ასე მეჩვენება, რომ დღეს ერთგვარ აუცილებელ პირობად, აქსიომად იქცა ენის „მოკლეს“, „მოშობის“ პროცესი და ეს არა მარტო სამარცხვინოა, ძალიან საშიში მოვლენაცაა.

10. ყოველ კერძო პირთან ეს განსხვავებულად განიხილავს. ზოგადად, ასაკთან ერთად მატულობს გამოცდილების ხარისხი. თუმცა მაშინაც კი, როცა სრულიად ახალგაზრდა გენიოსთან, ფენომენთან გვაქვს საქმე, მის შთაგონებას ძალუძს, ისეთი ცხოვრებისეული გამოცდილების ხარისხი „დადოს“, რომელიც მუდამ გაოცებასა და აღტაცებას გამოიხმობს.

11. თაობებად დაყოფა არის მნიშვნელოვანიც და აუცილებელიც, რათა განვსაზღვროთ მოცემული ნანარჩები – სიტყვა „თაობა“ დროის აღმნიშვნელია, რომელიც აქსიომატურად განკარგავს მწერლობის სულს.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მას არც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. „ცოცხალი კლასიკოსი“ შეიძლება შექმნეს სრულიად ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერალი, რადგან თავისთავად მწერლობა დიდი საიდუმლოების მატარებელია.

12. ყველგან ვკითხულობ. ამ „ბოხდეს, სერვანტისი ქუჩაში ნამოვენ ქალბედის ნაგლეჯსაც კი არ გაუშვებდა ნაუკითხავად. ასე ვარ მეც. ყველგან ვკითხულობ – ტრანსპორტში, ნიგნების მალაზიებში. ამიტომაც განსაკუთრებული „ლტოლვა“ მაქვს ბიბლიოთეკებისადმი. მოთხრობებს უმთავრესად ფურნალ-გაზეთებში ვკითხულობ.

13. ბოლო დროს ნავიკითხე შე-სანიშნავი პოეტის, ესეისტიკა და პროზაიკოსის ანდრო ბუაჩიძის ეგზისტენციური მოთხრობა „გაეღვივა“ (რომელიც ნაადრევად დაღუპულ ზაზა თვარაძეს ეძღვნება) და კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე, რომ პროზაში მან სრულიად ახალი ხედვა დაამკვიდრა.

14. ხუთეულს ვერ დაგასახელებ. რადგან სულ თვალწინ მიდგას უკვე გარდაცვლილი, ერთი უარესად ერუდირებული, ნიჭიერი, შესანიშნავი ადამიანი და პოეტი, რომელსაც (ახლა ვერც კი ამიხსნის რატომ) ერთხელაც პირში მივახალე: არ ველოდი, თუ ასეთ სუსტ ლექსებს წერდი-მეთქი. რაღაცნაირად გახვედა, უცნაური გამომეტყველება მიიღო, თვალები ჩაუქრა და მტანჯველი სევდა გადაეკრა სახეზე. ვერასოდეს ვაპატივებ ჩემს თავს ამ სიტყვებს. ამის ნიშნად პირობა დავდე: არასოდეს დავაკონკრეტო და არასოდეს მივახალე ავტორს ჩემი „პირუთენელი“ შეხედულება.

▶▶ ბარბაქლეძე, მასაჟისტი, ლს" №30.31.32

ბურამ ბობიაშვილი

მე და მამამისი ალექსანდრე მეგობრები არა ვყოფილვართო, მაგრამ რამდენჯერმე შინაურულად შეგხვედრებოდითო და ათას რამეზე გვისაუბრიაო.

„დილაზე“ ჩამოვარდნილმა სიტყვამ ერთი რამ სახალისო ამბავი წამომაგონა. კონსტანტინე ბატონის ერთ-ერთი სტუმრობის დროს ბატონ კონსტანტინეს მძღოლმა მკითხა, გურამ ბატონო, რამდენი ხანია, გურამ ბატონო, რომ შეგეკითხო და ვერ მოვახერხებო. აგერ, ახლა მკითხეთ-მეთქი, ვუთხარი. გოგია რომ არის, კუკურაშვილი, „დილაში“, თქვენი რა არის ის პოეტიო. არა, გოგია კი არა, კუკურაშვილი, პირიქით, კუკურია გოგიაშვილი-მეთქი (კუკური მეტეორსავით გადაქროლილი პოეტის შალვა კარმელის უმცროსი ძმა იყო), მიუხედავად იმისა, რომ ბატონ კონსტანტინესაც მართლა გულთანად გავგვყავინა... ღმერთმა აგაშენათო, კონსტანტინე ბატონმა (ეს „აგაშენოთ“ ორსავე გვეკუთვნოდა, მეც და მძღოლსაც), რაღაც უგუნებოდ ვიყავი და ამ გულთანა სიცილიმა ცოტა მომაქეფინათაო...

იყო ერთი ასეთი შემთხვევა. მწერალთა კავშირში საერთო კრება. მწერლები იწონებენ პარტიის ერთ-ერთი პლენუმის დადგენილებას მეცხოველეობის დარღვევების შემდგომი განვითარების თაობაზე. ტრიბუნაზე მსოფლიო მწერალი, 90-ს გადაცილებული სანდრო შანშიაშვილი. ეგ დადგენილება სწორედ ჩვენზეაო, მწვადი რომ გვიყვარს, მეცხოველეობასაც უნდა მივხედოთო, განსაკუთრებით კი მელორეობასო. ზოგიერთი ჩვენი მწერალი ისე იქცევა, კირკეს ჯოხი რომ მომცა, სუყველას ღორებზე ვაქცევდი და მწერალთა მხრიდან გვემაც შესრულდებოდაო.

– სანდრო, შენა, კაცო, ხრუშჩოვის მოგზავნილი ხო არა ხარ?! – კახური კილოთი შეუძახა კარლო კალაძემ. – მაინცდამაინც ქართველი მწერლების ხარჯზე გინდა გემის შესრულებაო?!

– ეგრეა, ეგრეო! მართალი ხარ, კარლო! – დაუდგასტურა კონსტანტინემ, – კახელსავე განსაკუთრებით უყვართ ღორის მწვადი... მით უმეტესო, სანდროს...

მგონი, მაშინ თქვა ცხონებულმა ნოდარ დუმბაძემ თავისი ცნობილი ფრაზა: მწერალი უკვდავია – პატივცემულ სანდროს პირდაპირი მნიშვნელობით ესმისო... – რასაც დარბაზში გულიანი სიცილი და ტაში მოჰყვა.


ცოტა უფრო ადრე გამოქვეყნდა იოსებ სტალინის დიდი შრომა ენის, უფრო სწორად, ენათმეცნიერების საკითხებზე, რაც, ფაქტობრივად, ნიკო მართან კამათი იყო (დაიბუქდა გაზეთ „პრავდაში“). ამ ნაშრომს საქართველოშიც გამოეხმაურნენ. მაღე ამ საკითხს საგანგებო პლენუმში მიძღვნა. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა კანდიდ ჩარკვიანმა ქართული სალიტერატურო ენიდან გადახვევის ნიმუშად თავის მოხსენებაში ვაჟა-ფშაველა და კონსტანტინე გამსახურდია დაასახელა.

რასაკვირველია, კონსტანტინე განაყენებული იყო და არც მალაგდა, ყველგან დაუფარავად ერთსა და იმავეს ლაპარაკობდა. ბელადს რა, ვაჟა-ფშაველასი ეშინია თუ კონსტანტინე გამსახურდიასიო, თავად დაგვასახელებდო თუ უნდაო, ეს ჩვენი კანდიდი ჯერ იყო და, ვოლტერის კანდიდიც არ იყოს, ყველაფერს უტედა და ადიდებდაო, მაგრამ ამანაც ვერ უშველაო. რომ გაათავისუფლეს, ახლავა გაურიაო თავის ნათქვამს, ისიც ფრთხილად,

მცირედნი პილილი. მაგას ეგონა, ბელადს მხარს თუ აუბამ, კეთილი თვლით გადმოხედვასო. ისე, სტალინზე აუგს ვერ ბედავდა, ბერიას კი ხშირად ატარებდა ბერაში, არც თვითონ ბერიას მოსდოდა კანდიდი დიდად თვალში... ისე, მთავანაძესთან შედარებით, ქვეყანასა და ხალხზე ზრუნვისთვის დროს ხელსაყრელად გამოყენების თვალსაზრისით, ჩარკვიანი ბევრი რამით ვერ მოვაო მთავანაძესთან, რომელიც საქართველოს სუყოველ პირველ კაცს ამკარად ტოლს უდებდაო...

ერთადერთი, ვინც იმ პლენუმზე კონსტანტინეს გამოეყომა და დაიცვა, იმხანად ახალგაზრდა, დიდმგამოვლილი რევაზ ჯაფარიძე იყო, უკვე ფრიად გახმაურებული რომანის „ჯარისკაცის ქვრივის“ ავტორი, რომელსაც თავისი ხმამაღალი მწერლური სიტყვა ეთქმოდა. სხვათა შორის, რევაზ ჯაფარიძე მაშინაც ერთადერთი და პირველი იყო, როცა მერე მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ყრილობაზე გრი-

ერთხელ ლეონიძე და გრიშაშვილიც გავაშველე, უფრო სწორად, დავაზავე; იოსებ გრიშაშვილმა იმ დღეებში გამოაქვეყნა თუმანინის „გიქორი“ თუ რომელიღაც საბავშვო პოემა. ლეონიძე და გრიშაშვილი მწერალთა კავშირის ბაღში შეხვედნენ ერთმანეთს. ლეონიძე გაეხუმრა, შენა, სოსო, ქართულზე კარგად, მგონი, სომხური გცოდნი-



გულს ფისარზე ალბაქდილი

გოლ რობაქიძის აღდგენა მოითხოვა. თავს ძალით ნუ ვიღარიბებთო. ისეთი მწერლის დაკარგვა, როგორც გრიგოლ რობაქიძეა, ჩვენგან დროის წინაშე ნამდვილად დანაშაულიაო. რა ვუყოთ, სხვა იდეოლოგიის შემოქმედი კი იყო, მაგრამ თავის ქართულ სულს მუდმივად ყველგან, ყველანაირ ვითარებაში ინარჩუნებდაო.

კონსტანტინე გამსახურდია პირველი წამოაგა და ჩვეული სიმამაცით მხარი აუბა რევაზ ჯაფარიძეს. საერთოდ ცნობილია, რომ აკრძალული ხილი ბევრად გემრიელიაო, მიეცით ქართველ მკითხველს საშუალება, თავად შეაფასოსო რობაქიძე, როგორც შემოქმედი და მწერალი... გვინდა-არ გვინდა, „გველის პერანგი“ კლასიკაო... ყრილობას მთელი მთავრობა ესწრებოდა. ყველას ეგონა, შეიქმნებოდა ერთი აურზაური, აიშლებოდა ბარიშანი, მაგრამ პირიქით, ვასილ მთავანაძემ ჯაფარიძეს და გამსახურდიას სიტყვა მოუწინა.

საერთოდ, კონსტანტინე ბატონი დიდად აფასებდა რევაზ ჯაფარიძეს და, ქართული მწერლობის ებგურიაო, დამცველი, ამბობდა მასზე.

კონსტანტინეს თავისი დამოკიდებულება ჰქონდა ენის მიმართ, იგი ერთადერთი იქნებ არა, მაგრამ ამკარად იზივითი შემოქმედა, რომელიც თავისი სტილით უმადი იცნობდა. ჩვენი წინაპარი ქართული ენის პატივისცემა და აღვივებლობის სამსახურში ჩაყენება იგივეა, რაიც თვითონ ჩვენი სულგანათლებული წინაპრების პატივისცემა და გვერდში დაყენებო. მწერალს უწინარესად ენის მიხედვით აფასებდა. გალაკტიონის „ნიკორწმინდის“ მერე ირაკლიმ შექმნა მერე შედეგრი, როცა პალესტინაში თვითონ რუსთაველს ათქმევინაო ქართული ენის ქება.

გიორგი ლეონიძის პოეზიას, ცხადია, აფასებდა, მაგრამ „ნატურის ხე“ პირდაპირ ქართული ენის ძეგლად მიაჩნდა. იმხანად კონსტანტინე ლორთქიფანიძე მერე რომ მანს – „ნატურის თვალს“ წერდა, თუ სახელის გადარქმევაზე მიდგაო საქმე, ჩემმა სენსიამ, უთუოდ კარგმა სტილისტმა, აუცილებლად უნდა გადაარქვასო თავის რომანს სახელი, თორემ „ნატურის ხე“ დაჩაგრავსო, მეგობრული სინდრულით ამბობდა. კონსტანტინე ლორთქიფანიძე კი, პირიქით, ითხოვდა, რომ ლეონიძეს გადაერქმია თავისი ნიგნისთვის სახელი...

აო. შენს ადგილას ავდგებოდი და სულაც სომხურად ვწერდიო. გრიშაშვილიც ცეცხლი წაიკიდა, აინთო. მე რომ არ ჩავრულებოდი, დიდი ჩხუბი მოხდებოდაო...

მასხოვს, ენათმეცნიერებაზე ზემოთ ხსენებული იოსებ სტალინის ამვე ნაშრომის გამო სხდომა გამართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. კონსტანტინემ ჯერ კიდევ წინა დღეს გამაფრთხილა, დავსწარიო. ასე იცოდა, როცა სადმე დიდ თათბირებსა თუ შეკრებებს ესწრებოდა. უნდოდა, რომ მეც დაესწარებოდი და გაზეთში გამეშუქებინა.

უბესოუდენტოდ რა შეკრება შეიძლებოდა! და აქაც ტრიბუნაზე შედგა ბესარიონი. ერთი თვალი მოავლო დარბაზს და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! სტალინი ხომ მეცხრე ცაზე კი არა, მესამე ცაზე აიყვანა, მერე ახლა ცალკე მაგალითები მოიფარგა და ბოლოს დარბაზს შეუტია. ზოგიერთი დარგობრივი აკადემიკოსის დაწერილ რასმე რომ ვკითხულობ, ქაჯურ ენაზე დაწერილი მგონიაო. გვარს არ დავასახელებ, ბევრნი ამ დარბაზშიც ხიანო...

– დაასახელებო, ბესარიონ, დაასახელებო, – გასძახა კონსტანტინემ. – სხვაგვარად დაბრალება გამოგივაო. თანაც კიდევ, კი არ ხიან, სხედანო...

– დახ, დახ, მართალი ბრძანდებით, სხედან და ხიანს აყენებენო, – ბესომ. – დასახელება უზერხულიაო... – შენ, როგორც ჩანს, აკადემიაში ასარჩევად იკაფავო გზას, – დღინში ჩასწვდა კონსტანტინე.

ენის სინამდის დაცვასთან ერთად იგი ძალიან ფაქიზად ეყრობოდა ზნეობის დაცვასაც და სხვათაგანაც ამასვე მოითხოვდა. ადამიანია თუ ერი, ვისაც ზნეობის მხრივ უჭირს, ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ მოეწევს ცხოვრებას. ზნეობა ლიბო-ბორჯიაო ადამიანისაც და ერისაც. თუ საშუალება მიეცემოდა სადმე, სხდომა იყო რამე თუ შეკრება, კონსტანტინე სწორედ ენის დაცვაზე და ზნეობაზე სასაუბროდ იყენებდა... გაბედულებისა და გამსწვევების მიზნით იმ სხდომა-შეკრებაზე მიმავალი ერთ სირჩას ნითელ ლეონის, ხაშმურ საფერავს ან „ენისუღს“ გადააქარავდა. სხვა კონიაკს გემოთიც არა სინჯავდა...

დღეს, ალბათ, თითო-ოროლა, მაგრამ მაინც არიან ის ქალბატონები, მ მარტის აღსანიშნავ საღამოზე რომ იყვნენ შეკრებილნი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში.

კონსტანტინეს არც აქ დავიწყებია თავისი სათქმელი, რახან დედანი, მარად ნეტარნი, ერთად ხართო თავმოყრილნი, ჩემს გულსტიკვილს გაგიმხელთო პირუთვნელად. ჩვენს ყმანვილ მდედრთ ნამეტანი შილითა აცვიათო (კიდევ კარგი, დახეული ჯინსები ჯერ არ იყო მოდაში), რაიც ამკარად სისხლს ურქეფებო ისედაც სისხლამღვრულ ჩვენთა ყმანვილ მამრთ. ზნეობა, როგორც იცით, ჯერ კიდევ რუსთაველს ალელვებდა და აკი წერსო კიდევ: „მათ ბოზ-კურთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა, თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო, მისად პატიუად მზად ესა“. ეს ტარიელის გულისნადებიაო ნესტან-დარეჯანის დაკარგვისას თქმული.

ბევრს ფატმანის ნათქვამიც გვესომებათ: „მე გლახ ვიყავ მისი წევი, იგი იყო ჩემი ვაცი, კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი, მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭელ არის და თვალად ნასი, ისი კაცი ჭამნავარი დარბაზს იყო მეტად ხასი“.

მამრის უგულობა თუ სიმჭლევე და თვალად ნასობა აკარგვინებო ყოველი უფროვე წმიდათაწმიდა რასმეო ატრობებულ მდედრს და კუროსკენ იყურება, ვითარცა ნეზვიო... დარბაზს უცებ ტალღასავით გადაუარა ჩურჩულ-კურკურმა. კონსტანტინემ, რაკი დამსწრე ქალბატონებს ალელვება და უქამყოფილება შეატყო, ამას თვით რუსთაველი ამბობსო და არა გამსახურდია, ერთი ეს კი თქვა და პრეზიდენტში აღარ მიბრუნებულა.

ბოდიშო, ჩილიაპარაკა თავადაც ალელვებულმა და ეგრევე გარეთ გაიწა, სადაც თავისი მანქანა ელოდებოდა. გზაში დარბაზიდან გამოსული, ცოტა არ იყოს, გაჯავრებულ-ალელვებული მუღლე დაინია: – ეჰ, კონსტანტინე, კონსტანტინე, შენსას მაინც არ იმლიო, – უთხრა ქალბატონმა მირანდამ. – მოუხდებათ, მოუხდებათ, ვისზეც ვილაპარაკე, ბევრი მანდ იჯდა, უფრო მეტი მაგათი შვილები არიანო, – ჩილიაპარაკა ნაბიჯარქა რებულმა კონსტანტინემ.

ეს ამბავი ქალაქში მალევე სალაპარაკო გახდა. თბილისელთ ახალი საჭორაო გაუწდათ.

იყო ერთი ასეთი შემთხვევა. მწერალთა კავშირში ერთი წლის სპექტაკლებს განიხილავდნენ. მომხსენებელი ბესო ფლენტი იყო. ერთ ადგილას გიგა ლორთქიფანიძეც ახსენა, რომელიც ბოლო რიგში იჯდა. ბესომ გიგას რომელიღაც დადგმას კბილი გაჰკრა. ეტყობა, ვერ დაინახა თვითონ გიგა. ის წამისუმალ წამოხტა და, ბესო საერთოდ ზოილია, ამ საკითხში კი ბეციაო, ყველაფერს ძალიან ახლოდან ხედავს, არადა, სპექტაკლს, როგორც დიდ მხატვრული ტილოს დანახვას, გარკვეული მანძილი უნდა, დაშორებო...

– ეგეთები არ იყოსო, – გასძახა შეურაცხყოფილმა ბესომ, ცოტა დაეღვინებულმა ბესომ, რადგან არ ელოდა დარბაზში გიგას ყოფნას. – მაშინ მეც პირდაპირ გეტყვი, ჩემო გიგა, რატომ არის ჩვენი თეატრალური ხელოვნება ორივე თქოდან ამოვარდნილიო.

ერთი სიტყვით, პაექრობა ამკარად გამწვავდა. თუ არა კონსტანტინე ბატონი, დიდი ორთაბრძოლა გამიმართებოდა. კონსტანტინე მანინე ნამოდა, როგორც იცოდა, დინჯად, ძველდარბაზისლურად, ჩვეულებრივ, პირველი რიგის კუთხის სკამიდან და ჯერ გიგას მიუბრუნდა: პირადი შეურაცხყოფა არასაკადრისი საქციელიაო. მერე ბესოს მოუბრუნდა: ბესო, არც შენ გეკადრებო უდავოდ ნიჭიერი ახალგაზ-

რდა კაცის შეურაცხყოფაო, პირადი ნაკლის ხაზგასმა არ ეგებისო, მით უმეტესო, შენგან. ამ ყოველივეს უზნეობის სუნი უდისო.

დარბაზმა, ზუნებრივია, კონსტანტინე გამსახურდიას დაუჭირა მხარი, რამეთუ ბესო ბევრს მაინცდამაინც გულზე არ ეხატა.

ამბავს, ქვემოთ რომ გავისხენებ, ხალხში რამდენიმე ვერსიად ამბობენ. მე ჩემი ერთ-ერთი იმდროინდელი ჩანანერის მიხედვით აღვადგენ. იყო მაშინ ერთი ბათუმელი პოეტი, იაკობ მელია, რომელსაც ახალ ნიგნს არ უცემდნენ იმ საბაბით, რომ სტამბებს ტყვია არა აქვთო. მელიამ დახმარებისთვის კონსტანტინე გამსახურდიასთვის მიმართა გადამწყვიტა. ჩამოვიდა ბათუმიდან და კოლხურ კოშკს მიადგა. მაგრამ კონსტანტინე ბატონი შინ არ დახვდა. ალბათ, გაზეთის რედაქციაშია, „კომუნისტ-ში“. და მელიამ, როგორც იტყვიან, ფეხები მხრებზე შეინყო, დაიტიმა და გულამოვარდნილი მოვარდა რედაქციაში. უჰ, რა კარგია, რომ მოგისწარი, ბატონო კონსტანტინეო. რა იყო, ბიჭო, რა საქმეა მაგისთანა, რომ ბათუმიდან საგანგებოდ ჩამოსულხარო, კონსტანტინემ, თქვენ თუ არ დამეხმარეთ, ბატონო კონსტანტინე, ვიცო, არაფერი არ გამოვიგაო, ახალ ნიგნს არ მიცემენო, გამომცემლობები სტამბებს აბრალებენ, ისინი კი ტყვიის უქონლობას იმიზეზებენო, მელიამ. იქნებ თქვენი ერთი სიტყვა შემანოთო მალრახესთან. ამიკრიფე ერთი, თუ კაცი ხარ, მალრახის ნომერი და მომანოდე ეგ ყურმილიო, სამთავრობო ტელეფონზე მიმითთა კონსტანტინე ბატონმა.

გამარჯობა, ელგუჯა, არ იფიქრო ახლა, კონსტანტინესთვის სამთავრობო ტელეფონი დაუდგამთო. რედაქციაში ვარ, გოგიაშვილთანო. ჩვენი ცნობილი პოეტი რომ არის, მელია, ალბათ, მსოფლიოში ერთადერთი და პირველი მელიაა, თვითონ თავისი პირით რომ ითხოვსო ტყვიას, უფრო სწორად, ბრპენსო. ერთი სიტყვით, ამ მიზეზით ახალ ნიგნს არ უწყობენო. ყურმილში ელგუჯას რობროხნარევი სიცილი გაისმა. ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე ბატონს უარს როგორ ეტყოდა, და იმანაც, კონსტანტინემ, გაახარა მელია, მაგრამ რა გაახარა ამა და ამ სტამბაში ახლავე მოდიო. ნეტავი, ბარემ მისამართიც გეკითხაო, ახლა უკვე მეტისმეტილი მოითხოვა გათამამებულმა მელიამ. კონსტანტინე ცოტა გაჯავრდა, ისიც ხომ არ მეთქვა, მანქანით შენ თვითონ გამოუარე-მეთქი. არა, არა, ბოდიშო, მელიამ და სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად თავი მეკრდზე მიადო.

აი, ასე იყო ტყვიის, ანუ ბრპენისა და პოეტ იაკობ მელიას ამბავი. როგორც ჩანს, თითო მელია, ხან კეთილად უწყინარი, ხანაც ბოროტად მანყინარი, სუყოველ საუკუნეში ჰყავდა და ჰყავს საქართველოს!

ბოლო ხანს უცებ დაეტყო სიბერე. მოტყდა, ძველებურად ხშირად ვეღარ ამოდიოდა რედაქციაში, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც ახერხებდა. ლიფტით შენობის დაცვას ამოჰყავდა. ერთხელ, დედოფალთან ერთად ვიმგზავრეო, მომხმარებათ ერთ ღმირილით... ოღონდ ინგლისის დედოფალთან კი არა, ჩვენს დედოფალთან ერთად – შევარდნაძის მეუღლესთან ერთად ამოსულიყო ლიფტით. ლიფტში თუ ქალბატონი ნანული შევიდოდა, სხვას შესვლის უფლება არა ჰქონდა. ასე იყო ყოველდღე. უფრალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია მეხუთე სართულზე იყო, სადაც ის მუშაობდა იმხანად.

▶▶ ბარბაქლეძე იმნება

დასასრული დასაწყისი „ლს“ №32



თავაზ ნატროშვილი

„მთის მოხუცი“

1192 წლის 29 აპრილს ქალაქ ტვიროსის ქუჩაზე კონრადს თავს დაესხა თეთრ სამოსელში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა, ორივეს დანა ეჭირა ხელში, ჯიქურ ეკვეთნენ კონრადს და სასიკვდილოდ განგმირეს. ერთი ასასინი ადგილზევე იქნა მოკლული; მეორე გაიქცა და თავი შეაფარა ეკლესიას, სადაც რამდენიმე წუთის შემდეგ შეიკვანეს სულთმობრძავი კონრადი. ასასინი გამოვარდა სამალავიდან და ამჯერად ბოლო მოუღო თავის მსხვერპლს.

ზუსტად იქნა შესრულებული დავალება ასასინთა მბრძანებლისა, რომელსაც ევროპელები „მთის მოხუცს“ ეძახდნენ. საიდან გაჩნდა ეს უცნაური ტიტული? საქმე ისაა, რომ ასასინთა ციხეები მდებარეობდა ირანისა და სირიის მიხედვით, ამან განაპირობა მათი ხელმწიფის წოდება „შეის ალ-ჯაბალ“ (ე. ი. მთის შეიხი ანუ მთავარი), მაგრამ თვით სიტყვა „შეისი“ არაბულად მოხუცსაც ნიშნავს და ჯვაროსნებმა რატომღაც მეორე მნიშვნელობა გადათარგმნეს (მსგავსი გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს, მაგალითად, ქართულიდან სიტყვა „ხევისბერის“ თარგმნას).

საერთო ინტერესს იწვევდა, წააქეზა თუ არა ვინმე „მთის მოხუცი“ კონრადის მკვლელობაზე. გარკვეული და ამომწურავი პასუხი დღემდე არაა გაცემული. ამ ისტორიულ დეტექტივს ისიც მატებს სიმძაფრეს, რომ ეჭვიმტანილი არიან ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგულს და ეგვიპტის სულტანი სალადინი, ორი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა დასავლეთ-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქაში.

აღსანიშნავია, რომ არაბული წყაროები ადანაშაულდებენ სალადინს, ხოლო ევროპული წყაროები – რიჩარდ ლომგულს! ამ გარემოებაზე გააღვივა მკვლევართა ცნობისმოყვარეობა და მოცემული საკითხი თავსამტვრევ ამოცანად აქცია.

ზოგიერთი არაბული წყაროს მიხედვით, სალადინმა დიდძალი უქრო უდგინა ასასინთა მბრძანებელს და სთხოვა რიჩარდისა და კონრადის მოკვლა. შეიხმა კონრადზე შეაჩერა არჩევანი. მისი შეხედულებით, ჯვაროსანთა ორივე წინამძღოლის მოსპობა უზომოდ გააძლიერებდა ეგვიპტის სულტანს, რომელიც ასასინების კეთილმოსურნეთა რიცხვს როდი ეკუთვნოდა.

იბნ ალ-ასირი მოიხსენიებს ბრალდებას რიჩარდის მიმართ, როგორც ფრანკთა შორის გავრცელებულ ვერსიას.

რიჩარდ ლომგულს სახელის შელახვა თვით ასასინთა დამსახურება უნდა იყოს. კონრადის მკვლელობა აღიარა დაკითხვაზე, რომ შეიხის ზურგს უკან იდგა ინგლისის მეფე.

ცნობილი ორიენტალისტის ბ. ლუისის აზრით, თუნდაც სხვისი კარნახითა თუ ჩაგონებით ემოქმედა ასასინთა მბრძანებელს, ფრიად საეჭვოა, რომ ასეთი საიდუმლო კომბინაცია ცნობილი ყოფილიყო რიგითი ფიდაელებისათვის, რომელთაც მხოლოდ მკვლელობის ჩადენა ევალებოდათ. ბ. ლუისი ფიქრობს, რომ დავალებასთან ერთად ფიდაის ეძლეოდა შეთხზული „ლეგენდა“ – ეჭვისა და უნდობლობის დასათესად მოწინააღმდეგის ბანაკში. ბრალდება

რიჩარდის მიმართ მართლაც გამოიწვია სერიოზული უთანხმოება ჯვაროსანთა შორის. ლეგენდას, რაც მთავარია, ნიადგას უმაგრებდა ის ფაქტი, რომ რიჩარდ ლომგული და კონრად მონფერატი ერთმანეთს ექიშებოდნენ. ამიტომაც მისივე დაიბადა დასკვნა: ვისთვის იყო ხელსაყრელი კონრადის სიკვდილი თუ არა რიჩარდისთვის?

„მთის მოხუცს“ ისეთი ავი რეპუტაცია ჰქონდა მოხვეჭილი დასავლეთში, რომ ვინმესთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად საკმარისი იყო მისი სახელის დაკავშირება ასასინებთან (ანალოგიურ სურათს ვხვდებით მაჰმადიანურ სამყაროში). სხვათა შორის, რიჩარდის „საქმის“ გაზვიადებით ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ ფილიპე, საფრანგეთის მეფე და ჯონ უმინანყო, ძმა რიჩარდისა, რომელსაც ინგლისის ტახტზე ეჭირა თვალი.

ამოყვანილი ლაქა

რიჩარდ ლომგულს მომხრეებმა სცადეს ეჭვის აღმოფხვრა და ევროპაში გავრცელებს წერილი „მთის მოხუცისა“, რომელიც არწმუნებდა ქრისტიანული ქვეყნების მეფეებსა და ხალხებს, რიჩარდი არაფერ შუაშია, კონრადთან ჩვენი ანგარიშები გავასწორეთო (დღემდე გაურკვეველი რჩება, ყალბი იყო ეს წერილი თუ ქვეშაირი).

ასასინთა მბრძანებლის გამოსარჩლებამაც ვერ უშველა ინგლისის მეფეს. მითქმა-მოთქმას რიჩარდის გარშემო უკვე ღრმად ჰქონდა გადატეხილი ფესვები. ერთი საუკუნის შემდეგ საფრანგეთში დაიწერა ისტორიული პოემა, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ წვრთნიდა რიჩარდ ლომგული თავის ასასინებდა ინგლისელ ყმანელებს.

ბრალდება (თუ ცილისწამება?) რიჩარდის მიმართ კონრად მონფერატის მკვლელობის საქმეზე ჯერ კიდევ არაა მოხსნილი. ალბათ იმიტომაც გადაასხვაფერა ისტორიული სინამდვილე ვალტერ სკოტმა, რომ ერთი ლაქაც არ დამჩნეოდა მისი საყვარელი გმირის პორტრეტს.

სად ტრუბადურები, სად ასასინები?

ბუნებრივია, რომ ასასინები ხშირად გვხვდებიან ჯვაროსნული ქრონიკების ფურცლებზე, მაგრამ მათი სახელის შეჭრა ტრუბადურთა პოეზიაში, ცოტა არ იყოს, გაოცებას იწვევს. ტრუბადურები და ასასინები? რა უნდა ჰქონდეს საერთო ამ ორ სიტყვას, რანაირად ეხმიანება ლირიკული ლექსი და სიმღერა მაჰმადიანურ სამყაროში გაჩენილ საზარელ ორდენს, სად ამქვეყნიურ სიამოვნებათა მგზნებარე მესობები და სად ე. წ. „სიკვდილის ანგელოზები“!

ტრუბადურთა პოეზია, წარმოქმნილი XI-XII სს. საფრანგეთში, კერძოდ – პროვანსში, ითვლება მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად.

დღევანდელი აღნუსხულია ხუთასამდე ტრუბადურის სახელი. მათ შორის არის ხუთი მეფე, მრავალი ფეოდალი, რამდენიმე სასულიერო პირი, ვაჭრები, ხელოსნები, წვრილფეხა კარისკაცები. საგულისხმოა, რომ ხუთასი პოეტიდან ოცდაათი მიეკუთვნება მშვენიერ სქესს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროვანსულმა ლირიკამ უდიდესი გავლენა მოახდინა იტალიის, ესპანეთის, გერმანიისა და ინგლისის პოეზიაზე.

ტრუბადურთა პოეზიის უმთავრეს თემას წარმოადგენს მიჯნურობა. მისი „კანონების“ ცოდნა აუცილებელი იყო მიჯნურისათვის და მით უმეტეს – ტრუბადურისათვის, რომელიც თხზავდა სამიჯნურო ლექსებს, თვითონვე ქმნიდა მელოდიას და თვითონვე მღეროდა.

ტრუბადურები ამტკიცებდნენ, რომ სიყვარული აკეთილშობილებს და ამაღლებს ადამიანის სულს, აჯილ-

დობებს მიჯნურს სიმღერის ნიჭით. არ შეიძლება იყოს პოეტი, ვინც მიჯნური არაა და, პირიქით, გარდაუვალია მიჯნურის გადაქცევა პოეტად.

ტრუბადურთა მიჯნურობის ობიექტად, თითქმის ყოველთვის, გვევლინება გათხოვილი ქალი.

აღნიშნული მოვლენა გამოხატავდა ადამიანის გრძნობათა ბუნებრივ პროტესტს არისტოკრატის წრეებში გაბატონებული ქორწინების ტიპის მიმართ, როდესაც განმსაზღვრელი მოტივი ქორწინებისათვის იყო მშო-

ვა ეჩვენება თეთრ და ყვითელ ყვავილებად, ხოლო სასტიკი ქარი და კოკისპირული წვიმა ახალისებს და ამხნეებს უიმედოდ გამოჯნურებულს. მაგრამ მშვენიერი ქალბატონი, ნიშნად კეთილგანწყობისა, იმეტებს მხოლოდ ღიმილს და ზოგჯერ – კოცნას, როგორც უმაღლეს ჯილდოს.

ბოლოს და ბოლოს, ტრუბადურის მიჯნურობა იძენს ვასალური სამსახურის იერს.

„მე თქვენი ქვეშევრდომი ვარ, ქალბატონო, – წარმოთქვამს ზემო-

მე ვარ შენი ასასინი პაკიახიაგი ნიგნილან „გაპიყვით გაღიგაპე“



მსახვარი იაგო ნიკოლაკე

ბელთა ქონებრივი ან დინასტიური ინტერესები და არა თვით ქალ-ვაჟის გრძნობები და ნება-სურვილი.

„ვლოცავ სიყვარულს!“

ფრიდრიხ ენგელსი წერდა, რომ პროვანსელთა რაინდული სიყვარული აშკარად მიისწრაფვის ცოლქმრული ერთგულების დარღვევისაკენ და პოეტები გატაცებით უმღერიან ამ მისწრაფებას.

მაგრამ ზოგიერთი ტრუბადური ხოტბას ასხამდა პლატონურ თუ ცალმხრივ მიჯნურობას. ერთი მათგანის ლექსში ვკითხულობთ: „მე ვილოცავ სიყვარულს იმიტომ, რომ ამაძულა არჩევა მისი, ვინც ხელსა მკრავს. საპასუხო გრძნობა რომ გაჩენილიყო, მაშინ აღარ მომიწევდა ცრემლის ღვრა, არ მეცოდინებოდა არც ოხვრა, არც სევდა, არც იმედი, არც სასონარკვეთა და არც ვედრებანი“.

სრულყოფილი მიჯნურობისათვის სავალდებულო იყო ტანჯვა და განუხორციელებელი ოცნება. ტრუბადურებში მიჯნური აპყავდათ თვალმონჯვობაზე პიედესტალზე, მისგან ელოდნენ ყველა სიკეთეს და ევედრებოდნენ, როგორც ღვთაებას. ექსტრავაგანტური კულტი ქალისა – აი რა არის ტრუბადურთა გამოსარჩევი ნიშანი. მათი ლექსები დახუნძლულია რელიგიურ წარმოდგენათა სფეროდან ნასესხები გამოთქმებით: მოწყალეობა, ვედრება, ხატება, თაყვანისცემა, გაღმერთება.

ტრუბადურები ამტკიცებდნენ, რომ მიჯნურობისა არაფერი ესმის იმას, ვინც მოთმინებით არ ელოდება მოწყალეობას, რამეთუ მიჯნურობის წესი და კანონია – ხანგრძლივი ლოდინით დაიტანჯოს მიჯნური.

ამგვარი მიჯნურობა წარმოქმნის ტრუბადურთა პოეზიაში ჰიპერბოლურ სახეებსა და მოტივებს. პოეტი-სათვის ძვირფასი ხდება მისი ქალბატონის მთელი ნათესაობა, ძვირფასი ხდება ქვეყანა, სადაც იგი ცხოვრობს და ჰაერი, რომელსაც იგი სუნთქავს. „როდესაც ჩემამდე აღწევს გრილი სიო თქვენი კუთხიდან, ასე მგონია, სამოთხის ნიავე მგაღერებს“, – აღტაცებით უმღავნებს თავის მიჯნურს სახელგანთქმული ტრუბადური ბერნარ დე ვენტადორნი. სიყვარული ცვლის ყველა მის შეგრძნებას, ყინ-

ვაზრს (მაშინ მარილი ოქროსა და ვერცხვად იქცევა, ხუმრობდნენ ისინი). ზემოხსენებული ყირო დე ბორნე ასე იცავდა თავის კრედოს: „განა ღირს ლექსი წვალებად, თუ მას ვერავინ გაიგებს? არა. სანატრელია იმ სიმღერათა ხვედრი, რომელთაც პოეტი ქმნის ხალხისათვის“.

ასეთი მსოფლმხედველობის პოეტის ლექსში ასასინთა მოხსენიება თვალნათლივ ამტკიცებს, რომ მათი ვინაობა ზედმიწევნით ნაცნობი იყო იმდროინდელ ევროპელთათვის. ზემოთ მოტანილი სტრიქონები დაწერილია XII-XIII საუკუნეების მიჯნუბი. სწორედ მაშინ გახდა განსაკუთრებით პოპულარული ასასინთა სახელი ევროპაში, ვინაიდან საფრანგეთის მეფემ საჯაროდ განაცხადა, რომ „მთის მოხუცმა“ სირიიდან გამოგზავნა ასასინები მის მოსაკლავად (ვითომდა რიჩარდ ლომგულს ჩაგონებით).

„მე ვარ შენი ასასინი“, – ფიციცხოვდა პოეტი სატრფოს და მსმენელისათვის უკვე ცხადი იყო მისი სიყვარულის ძალა და ფასი. მიჯნურობაში თავგანწირვის გამოსახატავად ტრუბადურები ვერსად ვერ მიაგებდნენ ამაზე უკეთეს ანალოგიას. „მთის მოხუცის“ ნინამე ასასინთა ბრმა მორჩილებასთან რა მოსატანი იყო რაინდის ვასალური სამსახური ფეოდალისა თუ მეფის ამაღლში. ევროპულთა წარმოდგენით, ასასინები ჰაშიმიტ მთვრალი ფანატიკოსები იყვნენ, ტრუბადურები კი ჰაშიმის ნაცვლად სიყვარულს დაენაფნენ.

ასე დაამშვენა პროვანსული ლირიკა აღმოსავლურმა ორნამენტმა. „მთის მოხუცი“, ალბათ, არ იცნობდა ტრუბადურთა შემოქმედებას და ვერც დაესიზმრებოდა, რომ მისი სახელი დაუკავშირეს ევროპის უღამაზეს ქალებს.

ლირიკოსები და კაცისგაქვლები

ამ სტრიქონებიდან ერთი ნაბიჯი-და რჩება ასასინთა გამოჩენამდე და ეს ნაბიჯიც გადადგმულია რამდენიმე ტრუბადურის ლექსში. მყარდება, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი ანალოგია ლირიკოსებისა კაცისმკვლელებთან.

ემერიკ დე პეგიონი ასე მიმართავს თავის მიჯნურს: „შენ უფრო დიდი ძალაუფლება გაქვს ჩემზე, ვიდრე მთის მოხუცს ასასინებზე, მისი მოსისხლე მტრების მოსაკლავად რომ მიდიან, თუნდაც ზღვის გადაღმა ეგულებოდეთ ისინი“.

მიჯნური შედარებულია ასასინთა მრისხანე მბრძანებელთან, თვით პოეტი – ასასინთან. იგი მზადაა, შეასრულოს მიჯნურ-მბრძანებლის ყოველგვარი სურვილი და ბრძანება, როგორც ასასინმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ახლა სხვებსაც დაუფიქროთ ყური. ბერნარ დე ბონდეი: „ვით ასასინები ემსახურებიან უყოყმანოდ თავის მბრძანებელს, მეც ასევე ვემსახურები სიყვარულს უსაზღვრო ერთგულებით“.

ანონიმი პოეტი – სატრფოს: „მე ვარ შენი ასასინი; იმედი მაქვს, რომ შენი ბრძანების შესრულებით მოვიხვეჭ სამოთხეს“ (ევროპული წყაროების მიხედვით, სასიკვდილოდ განწირულ ასასინს სწამდა, რომ ჯილდოდ ელოდა სამოთხე).

„ნათელი სტილი“ – „ბნელი სტილი“

სხვათა შორის, ეს უკანასკნელი მიეკუთვნება ე. წ. „ნათელი სტილის“ პოეტებს. არსებობდნენ „ბნელი სტილის“ პოეტებიც. ისინი ამკობდნენ თავის ლექსებს ბუნდოვანი მინიშნებებით, იფუძალი მეტაფორებითა და ქარაგმებით. შეგნებულად მისწრაფობდნენ, რათა მათი პოეზია გაუგებარი დარჩენილიყო უბრალო მოკვდავთათვის და სრულიად არ თვლიდნენ საჭიროდ, რომ ყველა ჩანვდებოდა მათი შემოქმედების ღრმა

დაწერილია XII-XIII საუკუნეების მიჯნუბი. სწორედ მაშინ გახდა განსაკუთრებით პოპულარული ასასინთა სახელი ევროპაში, ვინაიდან საფრანგეთის მეფემ საჯაროდ განაცხადა, რომ „მთის მოხუცმა“ სირიიდან გამოგზავნა ასასინები მის მოსაკლავად (ვითომდა რიჩარდ ლომგულს ჩაგონებით).

„მე ვარ შენი ასასინი“, – ფიციცხოვდა პოეტი სატრფოს და მსმენელისათვის უკვე ცხადი იყო მისი სიყვარულის ძალა და ფასი. მიჯნურობაში თავგანწირვის გამოსახატავად ტრუბადურები ვერსად ვერ მიაგებდნენ ამაზე უკეთეს ანალოგიას. „მთის მოხუცის“ ნინამე ასასინთა ბრმა მორჩილებასთან რა მოსატანი იყო რაინდის ვასალური სამსახური ფეოდალისა თუ მეფის ამაღლში. ევროპულთა წარმოდგენით, ასასინები ჰაშიმიტ მთვრალი ფანატიკოსები იყვნენ, ტრუბადურები კი ჰაშიმის ნაცვლად სიყვარულს დაენაფნენ.

ასე დაამშვენა პროვანსული ლირიკა აღმოსავლურმა ორნამენტმა. „მთის მოხუცი“, ალბათ, არ იცნობდა ტრუბადურთა შემოქმედებას და ვერც დაესიზმრებოდა, რომ მისი სახელი დაუკავშირეს ევროპის უღამაზეს ქალებს.

„მე ვარ შენი ასასინი“, – ფიციცხოვდა პოეტი სატრფოს და მსმენელისათვის უკვე ცხადი იყო მისი სიყვარულის ძალა და ფასი. მიჯნურობაში თავგანწირვის გამოსახატავად ტრუბადურები ვერსად ვერ მიაგებდნენ ამაზე უკეთეს ანალოგიას. „მთის მოხუცის“ ნინამე ასასინთა ბრმა მორჩილებასთან რა მოსატანი იყო რაინდის ვასალური სამსახური ფეოდალისა თუ მეფის ამაღლში. ევროპულთა წარმოდგენით, ასასინები ჰაშიმიტ მთვრალი ფანატიკოსები იყვნენ, ტრუბადურები კი ჰაშიმის ნაცვლად სიყვარულს დაენაფნენ.

ასე დაამშვენა პროვანსული ლირიკა აღმოსავლურმა ორნამენტმა. „მთის მოხუცი“, ალბათ, არ იცნობდა ტრუბადურთა შემოქმედებას და ვერც დაესიზმრებოდა, რომ მისი სახელი დაუკავშირეს ევროპის უღამაზეს ქალებს.

„მთის მოხუცი“, ალბათ, არ იცნობდა ტრუბადურთა შემოქმედებას და ვერც დაესიზმრებოდა, რომ მისი სახელი დაუკავშირეს ევროპის უღამაზეს ქალებს.

ცხვის ტყავში გახვეული მგელი

აღსანიშნავია, რომ ასასინებსა და ტრუბადურებს თითქმის ერთდროულად მოუღეს ბოლო; ასასინებს – მონღოლებმა, ხოლო ტრუბადურებს... 1209 წელს ჩრდილოეთ საფრანგეთის ბარონთა კოალიციამ საბაბად მოიძია პროვანსში „მწვალათობის“ გავრცელება და ორმოცდაათი ათასი მეომრისაგან შემდგარი ჯარი, ვინმე სიმონ დე მონფორის წინამძღოლობით, შეესია პროვანსს „დაუშვებელი უღმერთობის“ აღმოსაფხვრელად (სინამდვილეში მათი მიზანი იყო პროვანსის ნაყოფიერი მიწებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდება).

თითქმის ოცი წელიწადი მიმდინარეობდა ეს ომი და ქვეყანა სისხლით მოირწყო. განადგურდა ქალაქები. დაანგრიეს ან გაანადგურეს მრავალი ციხე-კოშკი, ტრუბადურთა პოეზიის ცენტრებს რომ წარმოადგენდნენ. განიშრებოდა ჩრდილოეთი და პროვანსში დაარსდა ინკვიზიცია, რომელმაც დიდი ხნით ჩაახშო თავისუფალი აზრის ყოველგვარი გამოვლინება.

ტრუბადურები გარბოდნენ ესპანეთსა და იტალიაში. რა თქმა უნდა, მათი პოეზია ძირფესვიანად არ მოუღებიათ, მაგრამ მიჯნურის მხიარულ სიმღერას თითქმის ყველგან ჩაუნყვდა ხმა. მისი ადგილი დაიჭირა პოლიტიკურმა პოეზიამ. ზოგიერთი ტრუბადური მოძალადეთა მხარეზე გადავიდა, ერთი მათგანი კი თვითონ გახდა ინკვიზიტორი და ყოფილი კოლეგების დევნას შეუდგა.

ტრუბადურთა უმრავლესობა აღდგა ყაჩაღ-ფანატიკოსების წინააღმდეგ, რომლებმაც ააოხრეს მათი სამშობლო – მშვენიერი პროვანსი. დევნილმა ტრუბადურებმა „ცხვის ტყავში გახვეული მგელი“ შეარქვეს კათოლიკურ სამღვდელთაგან.

ცხადია, ამაზე უკეთესი შურისძიება არ ძალუძდათ გამიჯნურებულ პოეტებს. მათი ერთადერთი იარაღი ხომ ლექსი და სიმღერა იყო...

ლევან ლორია

დღეს ცოლი უნდა მოვიყვანო

(ნუ წაუკითხავთ ბავშვებს)

გავიღვიძე თუ არა გამახსენდა - დღეს ცოლი უნდა მოვიყვანო. რა არის, ამ დიდებს ყველას ცოლი ჰყავს! მამაჩემსაც... ჩემი ძმაც კი რომ არის, ვასილი, იმის მამასაც, საერთოდ, ბალის ამხანაგების მამებს ყველა ცოლი ჰყავს. მე რა დავაშავე! მშობლები ნერვებს მიშლიან. ერთხელ ვიკითხე ჩემს წარმომავლობაზე და დამინყეს ტვინის ბურღვა - კომბოსტოს ფოთლებში გიპოვნეთ, ნერვით მოგიყვანა, ფორთოხალი გაფუცქვენი და შენ გადმოვარდი და ათასი სისულელე. გუშინ საღამოს გამოვაცხადე: ეს ზღაპრები იმ შვილებს მოუყვივით, ან რომ იპოვით კომბოსტოში, მე კი ხვალ ცოლი მომიყავს-მეთქი. მამამ - ცოლი რად გინდაო? აბა, შენ რომ გყავს-მეთქი? დედამ რატომღაც სიტყვი გამისინჯა. ტემპერატურა რომ ნორმის ფარგლებში აღმოჩნდა, რატომღაც სიცოცხლისაგან ჩაბჭირებულ მამაჩემს გაუბრაზდა. ჩემი განაცხადი კი ამ ორმა აღმანიშნა, რომელთაც რატომღაც დედას და მამას ვეძახი, უპასუხოდ დატოვა. სულაც არ მინდა ამათი თანხმობა! გაბრაზებული ნავედი ჩემს ოთახში და სასტიკი დღე ვაყარე მურა დათვს, რომელიც ადრე თეთრი იყო და ჩემზე დიდა, მაგრამ ვერევი. მერე რა, რომ ნაჭრისაა! სამაგიეროდ, ისეთი თვალეზი აქვს, ნამდვილისგან ვერ გეარჩევ. საცოდავად შემომხედა, - მე რაღა დავიშავეო? მეც დავანებე თავი, მართლაც, ამან რა დამიშავა?

დილით ვასილის დაურეკე, 12 საათზე ეზოში იყავი-მეთქი. იმან არ იცის, ცოლი რომ მომიყავს. ეზოში ჩასულს ხელში კარაქიანი პურით დამხვდა. ალბათ, სწრაფად უნდა გაზრდა. საიდან მოაქვთ, რომ ბავშვი კარაქიანი პურით მალე იზრდება?! ერთხელ სახლში მარტო ვიყავი, ჰოდა, ვინაიდან მომიბეზრდა ეს პატარაობა და ბაღში სიარული, მალე გაზრდა გადავწყვიტე და ერთი პური და ერთი დიდი ნაჭერი კარაქი შევჭამე. გაზრდით რა გითხრათ, მაგრამ ექიმთან კი წამიყვანეს, რადგან სუნთქვა მიჭირდა. იქ ისეთი პროცედურები ჩამიტარეს, თქმაც კი მრცხვენია, იმიტომ რომ შეიძლება დეპრესიაში ჩავარდეთ.

- გაზრდა გინდა თუ გშია? - ვეკითხები ვასილის.

- შშია! - მეუბნება. ვასილის ჭამა უყვარს - სულ შშია. მე მგონი, ამას სულ არ აინტერესებს, საიდან მოვიდა და რატომ ცხოვრობს მამამისთან და დედამისთან.

- ვასილი, შენ ახლა პატარა აღარა ხარ. გუშინ რამდენი სანტიმეტრი იყავი, იცი?

მე ყველა დღე ვიზომები, მაგრამ არავითარი ხალისი არა მაქვს, ჩემი სიმაღლე გაგიზიზილოთ და არც გეტყვი.

- არა! - ძლივს ამბობს ვასილი. პირი გამობერული აქვს.

- იცი, რომ დღეს გუშინდელთან შედარებით დიდი ხარ?

- დიდი არა! - მეუბნება და ცდილობს, თავისი გამოსახულება მალაზიის ვიტრინაში დაინახოს.

- თუ გინდა მალე გაიზარდო, გირჩევნია, სტაფილო ჭამო, - ვუბნები. მას შემდეგ, რაც საავადმყოფოდან დაბრუნდი, სადაც გავიგონე, რომ, სტაფილოს ვინც ჭამს, დიდი იზრდება, თუმცა მეჭეჭება, რადგან მალალი კურდღელი მე ვერ არ მინახავს. სტაფილოზე ექსპერიმენტების ჩატარებას არ ვაპირებ.

- სულაც არ მინდა გაზრდა! - მეუბნება ვასილი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ტანსაცმელი დამიპატარავდება.

- მერე რა, შენ ხომ პატარა ძმა გყავს?

- კი, სამი თვისაა.

- ხოდა, იმას მისცემ, შენ კი ახალს გიყიდნიან.

აბა, რისთვისაა საჭირო დედა და მამა?

ვასილი ჩემს ნათქვამზე ჩაფიქრდა. ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა.

- შენ იცი, შენი ძმა საიდან მოიყვანეს? - ვეკითხები.

- კი, სამშობიაროდან.

- სამშობიაროში როგორ მოხვდა?

- მანამდე დედას ჰყავდა მუცელში.

სამშობიარო, დაახლოებით ვხვდები, რა არის. იმას ვერ ვხვდები, ვასილის ძმა დედამისის მუცელში როგორ მოხვდა. თუმცა ამას არ ვამხელ, არ მინდა, გაუნათლებლად ჩამთვალონ. აი, დღეს ცოლს მოვიყვან და ყველაფერს გავიგებ.

- მოვიწიოთ? - ვუბნები ვასილის.

- დავაი! - მეთანხმება ის.

კორპუსის კედელს ვეფარებით და ვწნევით. ვა-



მსახივარი იანგო ნიკოლაძე

სილი ახველებს. მაინც არ ეშვება. ისევ ენევა, თუმცა ხველებისაგან თვალები დაუნითლდა და ლამისაა იტიროს. ამ დროს თავზე დიდი მეზობელი, შოთა ბიძია დაგვადგა. უამრავი წლის იქნება და ჩვენზე ბევრად მაღალია. გაკვირვებული გვიყურებს.

- რას აკეთებთ აქ?! - ვეკითხება. ბრმა ხომ არ არის? ვერ ხედავს, რას ვაკეთებთ? თითონ რომ ენევა, ჩვენ რა, არ შეიძლება? გაზრდილა აქ ხესაყი და, რადგან ასაკით მეტია, ვითომ უფლება აქვს, გვიყვიროს!

- ბატონო შოთა ბიძია, გაიარეთ რა! - ვუბნები, თან დისტანციას ვიკავებ, ხელი ყურამდე არ მოუწვდის. ვასილი მე მეფარება, თან ქვას ეძებს თვალით.

- აბა, მოდი ორივე აქ! - აშკარად გაბრაზებულია და ჩვენკენ მოდის. გუნებაში რომ კარგი არაფერი უდევს, ცხადია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მივედით და სადარბაზოში შევცვივდით. დაგვაცადოს ერთი, გავიზარდოთ!

სხვენზე პატარა სამალავი გვაქვს, სადაც ათას რამეს ვაგროვებთ. იქ ავდივართ. ვასილიმ ამას წინათ სახლიდან ღვინოც ამოიტანა. ჯერ ვასილიმ არ იცის, დღეს რა მაქვს გეგმაში. ის კი იცის, რომ ჩვენს შორის ვინც პირველი მოიყვანს ცოლს, მეორე მისი მეუღლე იქნება. მე ცოლი მომიყავს, ესე იგი, ვასილი მეუვარება.

მესამე სართულზე ჩვენი ბალის მეგობარი და მეზობელი ანი ცხოვრობს. სწორედ ის უნდა მოვიყვანო ცოლად. ანის ძალიან ლამაზი თვალები აქვს და შოკოლადი უყვარს. როცა ბაღში ვართ, ვცდილობ, პატარა ნატეხი მაინც მიუტანო, მას კი ჩემთვის ნამცხვარი მოაქვს, ხანდახან ვასილისაც ვუწილავდით. ერთხელ ანი ავად იყო და მე და ვასილი ნავედით და მალაზიაში ზუსტად ისეთი ნამცხვარი ვიყავით, ანის რომ მოჰქონდა, და უგემურად მიეჩვენა, არ მიჭამია. ანისთან რომ ვარ, საერთოდ, კარგად ვგრძნობ თავს. მიხარია მისი ნახვა. ეტყობა, ისიც კარგად გრძნობს ჩემთან თავს. ამიტომ, სადმე რომ მივყავართ ორ-ორად დანყობილები, ვცდილობთ, ერთად დავდგეთ. მიხარია მისი ლამაზი, ნაზი თითების ხელში დაჭერა. თითქოს პატარა ჩიტო მყავს ხელში. ერთხელ ჩვენს ბინაში ბელურა შემოფრინდა. მამამ დაიჭრა, მერე მე მომცა, გაუშვი და დაგლოცავსო. სანამ ხელს გავუშვებდი, რაღაცნაირად თბილი იყო და მის გულისფეთქვას ვგრძნობდი. რომ გაფრინდა, ჰაერში ჟღერებულად დაინყო. ალბათ, მართლა დამლოცა. აი, იმ ბელურას მაგონებს ანის თბილი ხელი. რადგან ერთად ყოფნა გვიხარია, ესე იგი, გვინდა, რომ ცოლ-ქმარი გავხდეთ, რა პრობლემაა?! ანიმ უკვე იცის, რომ ერთხელაც მივალ მასთან და მშობლებს მის ხელს ვთხოვ. ზუსტად იმ ხელს, ასე რომ მიხარია ხელში დაჭერა. აი, ეს დღევ დადგა.

ჯერ სხვენზე ვართ, ჩვენს სამალავში. აქ რამდენიმე ნაჭერი ორცხობილაც გვაქვს პატარა სკივრში, რომელიც ვასილიმ ბებიას მოჰპარა. სკამების მაგივრად ხის გადანაჭრები გვაქვს, მაგიდაც კი ყუთი. ორცხობილა და ღვინო ყუთზე დავანყვით. მე ღვინო ჩამოვასხი ერთჯერად ჭიქებში, რომლებსაც უკვე სამი თვეა ვიყენებთ.

- ვასილი, იცი, დღეს რა დღეა?

- ვიცი, ბაღში არ ვართ, ესე იგი კვირა.

- არაფერიც. დღეს ჩემი გაბედნიერების დღეა. ცოლი მომიყავს.

- ცოლი კი არა! - უკვირს ვასილის და იცინის. ჰგონია, ვხუმრობ.

- კი, - ვუბნები. - აქედან რომ წავალთ, გავივლით ანისთან, ნაიყვან ჩემთან სახლში და იქნება ჩემი ცოლი. შენ ხომ ხარ ჩემი მეუვარე. ჩემ გვერდით უნდა დადგე, როცა ანასთან მივალთ!

- ბავშვებს ცოლი არ მოჰყავთ! - მეუბნება ვასილი.

- ვინ არის, ბიჭო, ბავშვი?! მომავალ წელს სკოლაში მივდივართ. მორჩა ბავშვობა! - ვუბნები მე.

- შენ ღვინის შეხედვა ხომ არ გათრობს?

- ისევ იცინის ვასილი. ელაპარაკე ამ მართლა ბავშვს!

- მოდი, დღევანდელ დღეს გაუმარჯოს. რა დღეა დღეს?

- კვირა.

- კვირა ვიცი, რა რიცხვია?

- 12 ოქტომბერი.

- მოდი, 12 ოქტომბერს გაუმარჯოს! - ვთქვი და დავლიე. აუ, რა მყავს! ერთი ამ უფროსების ტვინში ჩამახედა, რატომ მოსწონთ ღვინის სმა. ამას ატმის კომპოტი არ სჯობია? მაგრამ კომპოტით სადღევარდელს ხომ ვერ ვიტყვი?

- გაუმარჯოს! - თქვა ვასილიმ და დალია. შევატყვე, იმასაც არ მოსწონს. ლიმონათი, იცოცხლე, უყვარს. კაი ბიჭია ვასილი. ყველა ვასკას ეძახის. ვასკა რა, ხარი ხომ არ არის? ბაბუაჩემს სოფელში ხარები ჰყავს და ერთს ვასკა ჰქვია. წელს ზაფხულში სოფელში რომ ვიყავი, ვასკას ხარის სახელს ხომ არ დავუძახებ და ამიტომ ვასილის ვეძახი. ბაბუას ძალიან უყვარვარ, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი მოსახლეა. მასაც სანდრო ჰქვია. რამდენი ჩავალ სოფელში, მეკითხება: „რა ქენი, ბაბუა, მოიყვანე ცოლი?“ „არა, ბაბუა“, - ვუბნები მე. „რატო, შე კაცო, ვერ ატყობ, რომ ბერდები?“ - მსაყვედურობს. მე რაღაც ვერ ვატყობ ჯერ, რომ ვებრდები. ზუსტად დაბერება რა არის, ისიც არ ვიცი. ასე მგონია, ბაბუა ბავშვობაშიც ასეთი იყო, თეთრი წვერებით და თეთრი თმით, რადგან, რაც თავი მახსოვს, სულ ასეთია, საერთოდ არ შეცვლილა. ჩემი ცოლის მოყვანა ბაბუას ნამდვილად გაუხარდება. მომავალ ზაფხულს მე და ანი ერთად წავალთ სოფელში.

- ვასილი, ერთიც ჩამოასხი! - ვამბობ. ვასილი ახასამს.

- მოდი, ბელურას გაუმარჯოს!

- ბელურა რა, არნივი არ სჯობია?

- რატო?

- ბოლოს და ბოლოს, ფრინველთა მეფეა, ბაღში ხო ასე გვითხრეს?

- აქ მეფობა არაა მთავარი. აქ სულ სხვა რაღაცაა მთავარი. მოდი, უბრალოდ, ბელურას გაუმარჯოს.

- გაუმარჯოს! - ხათრს არ მიტეხს ვასილი. შეიძლება ფიქრობს, რა ბელურა, რის ბელურაო.

- აბა, ახლა, მოდი, ვიმღეროთ. ბოლო-ბოლო ცოლი მომიყავს. თან ხომ იცი, ასეთი დღე ცხოვრებაში ერთია.

- რა ერთი?! ზოგს სამასი ცოლი მოჰყავს. მამამ - შაშხ სამასი ცოლი ჰყავდაო.

ვასილიმ, მგონი, სულ გააფრინა. აშკარაა, რომ დათვრა. რა სამასი ცოლი, სამასი ცოლი როგორ დაეტევა ჩემს ოთახში. უცებ სამასი ანი წამოვიდგინე და თავბრუ დამეხვა. მგონი, მეც შეუთვრე. არა, ის შაში წამვივლად გითე იყო. მე არა ვარ გითე.

- ვასილი, შენ მეტს აღარ დალევ, რაებს ამბობ?

- მეტი არც გვაქვს დასალევი.

- აბა, ვიმღეროთ.

- რა უნდა ვიმღეროთ?

- მოდი, „ვაგონი მიქრის“ ვიმღეროთ.

- ბიჭო, ეს რა სიმღერაა? ეს სიმღერა კი არა, კლიპია.

- მაშინ, მოდი, ბაღში რომ გვასწავლეს ახალი წლის სიმღერა, ის ვიმღეროთ. როგორ იყო?

- სანდრო, რა მოგივიდა, დათვრე? რა დროს ახალი წელია?

მგონი, მართლა დათვრე. არადა, ცოლიც მოსაყვანი მყავს!

- მოდი, მაშინ ჰიმნი ვიმღეროთ.

- მოდი, - ორივენი ფეხზე ავდგებით.

- „ჩემი ხატია სამშობლო...“ - დავიწყე მე.

- „სახატე - მთელი ქვეყანა...“ - ამყვა ვასილი. ჰიმნი ბოლომდე ვიმღერეთ.

- აბა, ვუკუო ქეიფი. ნავედით ანისთან.

- ბიჭო, ვარი რომ გითხრას?

- ვინა ბიჭო, ანიმ?

- არა, დედამისმა.

- დედამისს ვინ ჰკითხავს? შენ ეს ცხოვრება საბავშვო ბაღი ნუ გგონია, რომელი საუკუნეა? ან უარი რატომ უნდა მითხრას? ვითომ რა, ცუდი ბიჭი ვარ? თან ორი დღის წინ ანისთან სტუმრად ვიყავი და პურზე გავეგზავნე.

- ხო, პურზე თუ გავგზავნე, მაშინ უარს როგორ გეტყვის?

- აბა, ნავედით.

- ბიჭო, ცარიელი ხელით ხო არ მიხვალ? - უკვირს ვასილის.

- შოკოლადი მიუტანოთ, ანის შოკოლადი უყვარს.

- აბა, ცოლის მოყვანის დროს შოკოლადით ვინ მიდის, ყვავილები არის საჭირო! - ისე ამბობს ვასილი, თითქოს სამასი ცოლი უკვე ჰყავდეს მოყვანილი. არადა, მართალია, მაგრამ ყვავილები სად ვნახო ახლა? სოფელში რომ ვიყო, სახსე აქვს ბებიამეც ეზო ვარდებითა და ათასნაირი ყვავილებით. აქ, გამოდის, უნდა ვიყიდო. ყიდვას კიდევ ფული უნდა. ფული კი, არა მაქვს. ეპ, ხატვა მაინც ვიციოდე კარგი, დავხატავდი. ნეტა, ვინ ხატავს ამ ფულებს?

- ფული მე მაქვს, ნუ გეშინია, - თითქოს ფიქრებს მიმიხვდა ვასილი. ჩემი ყულაბა ნახევრად სახსეა, გაეტეხით და ყვავილები ვიყიდოთ.

- ძმა ხარ, ვასილი, ძმა! - გული ამჩიყდა მე.

- მოდი, გაკოცო ერთი.

- მოიცა, თუ ძმა ხარ, - მაჩერებს ის. - ეს კოცნები ანისთვის შეინახე, ვინმემ რამე არ იფიქროს! ვინ რა უნდა იფიქროს, მიკვირს, მაგრამ არაფერს ვამბობ.

- ნავედით, სანამ ბებიამე მარტოა სახლში. კარი აკვირნე ბებიამ გავიღო. ხელში საქსოვი ჩხირები და თითქმის მოქსოვილი წინდა უჭირავს.

- მოდი, შეილებო, მოდი, - გაუხარდა ჩვენი დანახვა. - რეიზა ხართ, ბებია, ანთილებლები? ბევრი ირბინეთ?

- ხო, ბებია ვირბინეთ, პეპლებს დავსდევდით, - იცრუა ვასილიმ.

- არ მოგშივდა, ბებია? სანდროც დაპატივქე!

- რა დროს საქმელია, ბებია. სანდროს ცოლი მოჰყავს, - ნამდვილი ძმაცაცია ვასილი. ჩემმა საქმემ საქმელიც კი გადააიწყა.

- ვინ მოყავსო, ბებია? - მგონი, ყურს აკლია აკვირნე ბებიას.

- ცოლი, ბები, ცოლი.

- თქვენ არ დეილუპეთ საცხა! - იცინის. რა არის აქ სასაცილო? ალბათ, ევტიხი ბაბუა თუ გაახსენდა.

შევედით ვასილის ფეხბურთელების სურათებით გადაჭრელებულ ოთახში. ვასილის მაგიდის სათამაშო ფეხბურთიც აქვს. ძალიან მიყვარს მისი თამაში. სანამ ცოლს მოვიყვან, ერთი პარტია ხომ არ ვითამაშო-მეთქი, ერთი პირობა გავიფიქრე, მაგრამ ანის საყვედურით სავსე თვალები წარმოვიდგინე: ფეხბურთში გამცვალეო, თითქოს მე უბნებოდა. ვასილიმ იქვე კარადაზე შემოდებული ბაჭია-ყულადა ჩამოიღო. ცოტა ხნის შემდეგ მისგან მხოლოდ ნამსხვრევებილა დარჩა. შემეცოდა ბაჭია, ჩემს ბედნიერებას შესწირა სანყალმა თავი. ხურდა ფული აკვირფეთ და პატარა პარკში ჩაყარეთ. დათვლით არ დავგივთვლია, იმიტომ, რომ ძალიან ბევრია. ყვავილები ნაღდად მოგვივა.

ნავედით ყვავილების მალაზიაში, რომელიც მეზობელი კორპუსის ქვემოთ არის. ყვავილების გამოიდევლი, დეიდა თინა, ხან ჩვენ შემოგვხვდავს ეჭვის თვალთ ხან პარკში ჩაყრილ სურდას.

- თინა დეიდა, ყვავილები გვინდა, - ეუბნება ვასილი.

- ყვავილები რად გინდათ, შვილებო?

- სანდროს ცოლი მოჰყავს.

- აბა, ცოლი თუ მოჰყავს, კარგი ვარდები უნდა აგირჩიოთ, - დაფაცურდა თინა დეიდა და ვარდების ლამაზი თაიგული მოგვანოდა, თან იცინის. ვარდები ჩვენზე ბევრად მაღალია. ხომ არ ვიტყვი, გადამიჭერთ-მეთქი. ძალიან ლამაზია. ვასილიც მეხმარება, რომ მინას არ შევხოს და არ დაისყაროს. ბოლოს მოვახერხეთ და თაიგული მხარზე გადავიდეთ და ასე მოგვაქვს. დიდები გაკვირვებულნი გვიყუ-

რებენ და ეცინებიან. ნეტა, სასაცილო რა არის? ამასობაში ანის კორპუსსაც მივავლავთ. როგორც იქნა, მესამე სართულზე ავედით. ანის ბინას ორი კარი აქვს და უამრავი საკეტი. ცხრაკლიტულშიც რომ ჰყავდეთ, არ უშველით, მაინც ჩემი ცოლი გახდება. კარზე დაკუნებას აზრი არა აქვს - ვერ გაიგონებენ, ხარი კი ისე მალადა, ვერ ვწვდებით. ვარდების კონა ვასილის დავაჭერინე, მე კი მას შევებობდი ზურგზე, ხარი დაურეკე და სასწრაფოდ ჩამოვხტი - უხერხულია, სასიდედრომ ასე რომ დამინახოს. კარს არავინ აღებს. იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ ავხებდრდე ვასილოზე. ის იყო, ხარი უნდა დამერეკა, რომ კარი გაიღო და ქალბატონი ქეთევანი გამოჩნდა. მის ზურგს უკან კი ანი, ხელში თოჯინით, რომელსაც რატომღაც ბარბის ეძახის. თუმცა გუშინ ვნახე, ვგრძნობ, როგორ მომნატრებია. მე სწრაფად ჩამოვქვეითდი, შემცბარ ვასილის ყვავილები გამოვართვი, ანის გადავეცი და ლოყაზე ვაკოცე. ანის ახლა თოჯინა და ყვავილები, რომელიც მასზე ბევრად დიდა, ერთად უჭირავს ხელში. ანიც და ქალბატონი ქეთევანიც გაკვირვებულნი გვიყურებენ. მე ორივეს დავემშვიდობე და წამოვივდი. ვასილიც უკან მომიყვანა.

- აქი ცოლად უნდა მოვიყვანო? - მეკითხება, ეზოში რომ გამოვდივით.

- ბიჭო, სად გინახავს, ცოლი თოჯინებთან თამაშობდეს?! ამ ბარბოსანს მორჩება და მოვიყვან...



სტოლიტიზმი

ტროლიბუსი ნომერი ცხრა სადგურიდან გადის, ცირკთან ქალებს ათვალისწინებს, ვარაზის ხეებს აუყვება, უნივერსიტეტთან შეუხვევს, სტუდენტების გაჩერებას გაივლის და ვაკის სასაფლაოსთან ამთავრებს თავის გზა მოკლე და ხანგრძლივ მოგზაურობას. დღეს სადგურში ვიყავი, იქ ბოლო ორლარიანი ნაგაგე პოკერში და, რადგან ფული არ მქონდა, ფეხით კი სიარული მეზარება, მეც სტუდენტებთან ერთად ტროლიბუსით წასვლა დავაპირე - მძღოლს მადლობას ვეტყვი და ჩავალ-მეთქი. ამას წინათ კი უფთხარი უკვე მადლობა, მაგრამ იმედი მქონდა, ახლა სხვა მძღოლი იქნებოდა.

ხო, სადგურში რა მინდოდა. დღეს კვირაა და ჩემი სოფლიდან მომავალ „მარშუტკას“, უფრო სწორად კი, სოფლიდან გამოტანებულ ცოტა ფულსა და ბევრ სანოვავეს ველოდებოდი. თუმცა ჯერ ვილა-ცამ მითხრა, იკვანებო, მერე სხვამ - საერთოდ არ ყოფილა დღესო და ფაფო ფული და სანოვავე. დავითარე რა ის ორი ლარი მაინც არ წამეგო!

სადგური ყოველთვის სასეცა ხალხით. ზოგი ტროლიბუსს ელოდება, ზოგი - ავტობუსს, ზოგი - ნათესავს და ზოგი შეყვარებულს. ზოგიც არაფერს არ ელოდება. მაინც ელიან. პატრულსათვის ეს საეჭვო ხალხია. სანამ ტროლიბუსს ველოდი, ჩემთანაც მოვიდნენ. ორი იყვნენ.

- აქ რას აკეთებ? - მეკითხება ერთი.
- კომენტარებს არ ვაკეთებ! - ვთქვი მე.

ამას წინათ ტელევიზორში ვნახე, ამერიკელები იყვნენ ჩამოსულნი და ასე უზუნებოდნენ ყველას: „ნოუ კომენტ“ - მეც იმათ მივბაძე. აბა, რა კომენტარი უნდა გავაკეთო. დაეინყო მოყოლა, რომ არ ჩამოვიდა ჩემი სოფლიდან მომავალი „მარშუტკა“, რომ ბოლო ორლარიანი მომიგო დებილმა პოკერის ავტობატმა, რომელიც, დენი რომ გაუთიშო, საერთოდ მკვდარია. მოვყევი იმას, რომ ახლა იმას ვფიქრობ, ვისგან ვისესხო ფული, რომ დღეს პური მაინც ვიყიდო.

- აბა, ერთი, ჯიბეები მაჩვენე! - მეუბნება ერთი. გითა ეს პატრული. რა ვანახო, ჯიბეში არაფერი მაქვს. უცებ მახსენდება, რომ ჯიბეში ჩადება იციან რაღაცების. ვა, რა მაგარია! მე ეს არ მე-მუქრება, ორივე ჯიბე გახული მაქვს. აქსიომა - დახულ ჯიბეში ვერაფერი ვერაფერს ვერ ჩაგიდებს. რა მოსდის ამ ჯიბეებს, აზრზე არა ვარ. ეტყობა, იმდენად ხშირად და თან იმდენად გულდასმით ვეძებ ფულს, რომ ვეღარ მიძლებენ. მაინც არ მინდა, ამით ჩემი დახული ჯიბეები ვაჩვენო.

- ორდერი მაჩვენე, ჩხრეკის უფლება რომ გაქვს, ან სასამართლოს დადგენილება, - გამახსენდა რომელიღაც რეკლამა, რომ სანქციის გარეშე ჩხრეკის უფლება არა აქვთ.

- რას დგახარ აქ, საქმე არა გაქვს? - აშკარად შეცბა.

- ტროლიბუსს ველოდები, - ვთქვი მე. მივქარე.
- შენ ვის ალადავებ, ბიჭო?! - მითხრა და უცებ ხელები გადამიტრიალა. მეორეც ჯიბეს მიმონებეს. რა ნახა, არ ვიტყვი, დათუთქულივით ამოიღო ხელი. გამახსენებ თავი.

პატრულმა კი დამანება თავი, მაგრამ მათემ-ტიკის ლექტორს, პროფესორ ანზორ კალისტრატის ძე მუხაძეს რა მოეუხერხო, ეს ვიცოდი, მეტი არაფერი მინდა. პირველკურსელი რომ გავხდი, პირველსავე სემინარზე გამომიძახა დაფასთან და, აბა, ინტეგრალი როგორ ინერებო? მეც დავუნერე: „ინტე“. უცებ ფერი დაეკარგა. მალა ანული ულვამი ჩამოვარდა, სულ დაფაზე წერით მალა ანული მარჯვენა მხარი უფრო აენია, სკოლის ნეგმი დახატულ სინუსოიდს თუ კოსინუსოიდს დამეგვანა და წყალი ითხოვა. კალისტრატოვიჩი, ადესას ხომ არ მიირთმევთ, გუშინ გამომიგზავნა მამაჩემმა, სულ ნაპერსკლებს ყრის-მეთქი, - შევ-თავაზე ალადად. წამოღებული მქონდა, მერხის ქვეშ მედგა 5-ლიტრიანი ბოცა, ლექციების მერე ბიჭებთან ერთად უნდა გვექეფა. „ნახალ“-ო, მითხრა. რა უნდა მახალ-მეთქი და ნაწყენი გამოვიდი გარეთ. რაღაცა რომ ნაიქცა აუდიტორიაში, კი გავიგე, მაგრამ რა, ვერ მიხვდი. ისე, რბილად კი დავცა. მერე დერეფანში ექთან და ვინახე, ნიშადურისპირტანნი ფლაკონით გარბოდა, სად, არ ვიცი.

ვისწავლე ინტეგრალის წერა. ჭია რომ დაიკ-ლაკნება, ის ყოფილა, მეტი არაფერი. ამის გუ-ლისთვის როგორ მოვიმდურე ეს ბაბუის ტოლა კაცი-მეთქი და ჩაუუჯექი უმაღლეს მათემატიკას... გამოცდაზე მისული ოთხჯერ გამომიშვა უკან კალისტრატოვიჩმა. პირველ საკითხად ყოველთვის ინტეგრალზე მანერინებდა მაგალითს. ბოლოს რომ გამომბარუნა, ცალ ულვამი ჩაეცინა და ადრეა ჯერ, ადრეო, დააყოლა. არადა, ბინდებოდა უკვე. ვუთხარი კიდევ - რაღა ადრეა, ლამდებან-მეთქი. ბედი არ გინდა? ჩემს ჯგუფელებს სიზმარში ტიტველი ქალები ესიზმრებათ, მე კი ანზორ კა-ლისტრატის ძე მუხაძე: ვითომ ბატონი ანზორი

შემხვდა „მარშუტკაში“, მაგზაობისა გადავუხადე და გამიღიმა; ვითომ ბატონ ანზორს ხიდე ფეხი დაუცდა, მტკვარში ჩავარდა და დახრჩობას მე გადავარჩინე და ისევე გამიღიმა; ვითომ ბატონ ანზორს ხულიგნები დახვდნენ გზაზე და ფორმუ-ლებით საცხე პორტფელს ართმევდნენ და მე მი-ვეშველე და ისევე მიღიმი და თან ყველა ღიმილის შემდეგ სამიანს მიწერს. ვიფიქრე, ეს სიზმრები სულ უკულმა მიხდება-მეთქი და ერთხელაც ვნახე, მე და ბატონი ანზორი ვითომ ჭადრაკს ვთამაშობთ. ვითამაშეთ და მომიგო. ლოგიკურად გამოდიო-და, რომ, თუ მართლა ვითამაშებოდი ჭადრაკს, მოვუგებდი. ხოდა, თუ მოვუგებ, ეგებ სამიანსც დამინეროს-მეთქი, მაგრამ ჭადრაკი არ ვიცი. ერთი ჯგუფეული მყავს, ლექსო ჰქვია. აშკარად ეტყო-ბა, რომ ფრიადოსანია, იმიტომ, რომ სათვალთ



მხატვარი ივანე ნიკოლაძე

დადის. თან, ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატი ვარო, ერთხელ წამოცდა. ხოდა, მისი რიგი რომ მოვიდა სამეცადინოდ, ვეუბნები, მათემატიკა არ მინდა, ჭადრაკი მასწავლე-მეთქი. ისე შემომხვდა, გეგონებოდა, ომის დანყების ამბავი უფთხარი.

- სვლები იცი? - მეკითხება.
- არა. სამაგიეროდ დამკაში ვიცი სვლები, - ვეუბნები მე.
- დამკა არა, შაში, - გამისწორა.
- ხო, შაში, - გამომივიდა ეს ახლა ხასან შაში, თურქი ფეხბურთელია ერთი.

- ხოდა, შაში გეყოფა, შახმატი რად გინდა? - აშკარად უარზეა.
- შახმატი არა, ჭადრაკი, - გავუსწორე ახლა მე. გაციონა. ხო, კარგი, გასწავლი და სამი დღე ჭადრაკს მასწავლიდა. მაგარია ეს ლექსო. სამი დღის მერე, სვლები რომ მასწავლა, აბა, ახლა მარტო მეფით ვეთამაშები და მომიგო. ვსდიე და ვსდიე, ხან პაიკებით მივეპარე, ხან ცხენით ჩაუხტი, ხან ოფიცერი დავადევნე მის მეფეს. ვერ დავიჭირე. აქეთ მომიკლა ყველა. ამიშლა ნერვი და ვესროლე მერე ერთი ოფიცერი თავში. მეფეს არა, ლექსოს. ასე დამთავრდა ჭადრაკის გაკვეთილები. სიზმარიც სიზმრად დარჩა.

აი, ტროლიბუსიც ჩამოვდა. ახლა კი გამი-მართლა - სხვა მძღოლია. სულ ხომ არ ვიქნე-ბი დანავსული. ესე იგი, ამას შეიძლება მადლობა ვუთხრა და ისე ჩავიდე. ალბათ, ეს არის სწორედ ნიშანი იმისა, რომ აწი ყველაფერი კარგად იქნება: ამის შემდეგ დროულად მოვა სოფლიდან ჩამოსუ-ლი „მარშუტკა“, არ ნავაგებ ფულს პოკერში და იქნები, გამოცდაც ჩავებარო. ავდივარ. ტროლიბ-უსი თანდათან ივსება. ახლა მთავარია, ნაცნობი არ შემხვდეს ვინმე. თან ისეთი, ჩემ შემდეგ რომ ჩადის, თორემ მომიწევს, ბოლო გაჩერებამდე გავ-ყვი, მერე იქიდან კიდე ფეხით უნდა ჩამოვიდე სტუდენტებთან. აბა, ერთსა და იმავე მძღოლს ორჯერ ზედიზედ ხო არ ვეტყვი მადლობას. არადა, ნაცნობი თუ არ დავაპატივე, რას იტყვის, ვინ არის ეს, ტროლიბუსის ფული არ ჰქონიაო! აბა, იმას ხო არ მოეუყვები, სადგურში ჩემი სოფლის „მარშუტ-კა“ რომ არ ჩამოვიდა და ბოლო ორლარიანი რომ ნავაგე პოკერში. ახლა კიდე იმის ფული რომ არ მაქვს, ტროლიბუსში დავაპატივო და იძულებული ვარ, ბოლო გაჩერებამდე გავყვი. თუ მკითხა სად მიდიხარო, ბოლო-ბოლო, ვიტყვი, რომ სასაფლაოზე მივიდივარ. ერთი შორეული ნათესავი პროფესორი არის იქ დაკრძალული - მთავარია, მივაგნო.

ეს თეა კიდე რაღა ახლა შემეყვარდა? სიყ-ვარულის დრო იყო ახლა? ანზორ კალისტრატის ძე მუხაძეზე ფიქრი არ მეყოფოდა? ახლა კიდევ თეა: ხო, თეა ჩემი ჯგუფელია. ვერავის ვერ ვეუბ-ნები, თეასაც კი, მაგრამ აშკარაა, რომ მიყვარს. როგორ ვხვდებით? უამრავი სიმპტომი. პირველი - ძალიან მიხარია მისი ნახვა. იმდენად მიხარია, რომ, როცა ვუყურებ, სულ ვიციანი. ცუდია, რომ ვიციანი. ერთი ჯგუფეული მყავს, მალხაზა. იმან მითხრა ერთხელ, გოგონებთან მოსაუბრე თეას

რომ ვუყურებდი შორიდან, რა ყველის ვაჭარივით იციანიო. სუფთა უტყინოა, რა! საიდან მოიტანა.

ტროლიბუსი მალე გაიქცა. ალბათ, მალე დაიძვრება.

- შენ რაღაც ნაცნობი სახე გაქვს? - ეს ერთი საპენსიო ასაკის მაგზაურია, გვერდით მჯდომს ეკითხება.

- შენ არა, - ეს მეორე, ისიც დაახლოებით იმავე ხნის.
- მგონი, სადღაც მიხსიხარ!
- საქმე არ გაქვს რამე? გაზეთი წაიკითხე!
- არ მაქვს. იცი, რა ღირს ახლა გაზეთი? ძველი დრო ხომ არ გგონია?
- მაშინ ფანჯარაში იყურე!
- რას შევხედო?
- რასაც გინდა. მე თავი დამანებე...

რა აჩუბებთ. მე შენ გეტყვი, ამათაც გამოცდა არ ჰქონდეთ ჩასაბარებელი ანზორ კალისტრატის ძე მუხაძესთან. არა, გამოცდა არა, მაგრამ ხო შეიძლება ვინმე უყვართ და ვერ ამჟღავნებენ? მიხვდით, რატომ ჩხუბობენ. ნევეროზი! ამბობენ, თბილისში სამოცდათურამეტ პროცენტს ნევე-როზი აქვს და ვალეზიო. ოცდაერთ პროცენტს მარტო ვალეზიო. მე მგონი, ოცდაერთ პროცენ-ტში გავდივარ. ვალეზი კი მაქვს, მაგრამ სულ არ ვნერვიულობ. ხო, კიდევ არის ერთი პროცენტი, რომელთაც ყველაფერი აქვთ.

- გენყინა რამე? - აგრძელებენ დიალოგს.
- შენ რა უნდა მანყინინო?
- გინდა, განყინინო?
- ვა, შარზე ხარ?
- არა, თუ გინდა, განყინინებ?!
ამ დროს ტროლიბუსი დაიძრა. ცოტა ხნით დანყნარდნენ. მაგარია ტროლიბუსი. ჯერ ეს ერთი, რომ ეკოლოგიურად სუფთაა. მერე კიდე, რა მაგარია, არა, მეორე ტროლიბუსი რომ შეხვ-დება და ბიგელს რა აანყვებს ხაზებს, თითქოს ძმაკაცს ესალმებო.

ხალხი გაჩერებებზე თანდათან მატულობს.
- ახლა არ ჩავდიოდე, გაჩვენებდი, ვინ ვის აწყინინებს, მგონი ერთი მოსაუბრე ჩადის უკვე.
- რა გენყინა, კაცო, ის მაინც მითხარი?
- ჩამოდი და გეტყვი.
- გადამიხადე და ჩამოვალ.
- გადაყვიები ახლა.
- მაშინ არ ჩამოვალ.

ცირკთან ავიარეთ. მინდოდა, დღევანდელი პრესკონფერენციის გადახედვა, მაგრამ ყველა ფანჯარაზე იყო აკრული. ქალებიც, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. არც ერთი ნაცნობი არ ამოსულა.
- რამხელა გაზრდილა შენი ბიჭი. ნამდვილად კალათბურთელი გამოვა. - ეს სხვა წყვილია. ქა-ლები საუბრობენ ახლა.

- რა კალათბურთელი. დასადგომი ადგილი არ არის და ხელში მიჭირავს.
- ვიტამინები აჭამე, გაიზრდება.
- კარგი ერთი, თუ ქალი ხარ, სიმაღლეში რა ჭკუაა. ჭკუა თავშია.

„თავი არა უშვავს, საკმაოდ დიდი აქვს“, - გავიფიქრე მე. ზოოპარკთან მხოლოდ წინა კარი გაალო მძღოლმა. ძირითადად ქალები და ბავშ-ვები ამოვიდნენ.

- დაბრძანდით, ქალბატონო! - ადგილს უთ-მობს და თავაზიანად ეპატივება ილიაში საქა-ლალდამორჩილი კაცი საკმაოდ ღრმა დეკოლ-ტიანი და დიდძუბებიან ქალს.
- გმადლობთ. ჩავდივარ, ბატონო!
- ჩასვლამდე დაბრძანდით, ქალბატონო, რამე არ დაგახსენებო...
უნივერსიტეტის გაჩერებასთან საერთოდ ბევ-რი ჩადის და ბევრზე ცოტა ნაკლები ამოდის. მო-იცა, ეს ვინ არის? თვალს არ ვუყურებ. დავუხუჭე კიდევ და თავიდან რომ გავახილე, იგივე სურათი

- ვხედავ, გაჩერებაზე, უკანა კართან, ბატონი ანზორი დგას, თან უზრალოდ ბატონი ანზორი კი არა, - პროფესორი ანზორ კალისტრატის ძე მუხაძე. დგას და კარის გაღებას ელოდება. აუ, დავილუპე! ნეტა, საერთოდ არ გაალოს უკანა კარი მძღოლმა. რაღა მაინცდამაინც ახლა მოუნდა ამ ტროლიბუსით მაგზაურობა, როცა ჯიბეში ერთი თეთრიც კი არ მიდევს?

კარი იღება და ტროლიბუსში პირველი ბა-ტონი ანზორი ამოდის მალა ანული მარჯვენა მხრით, თითქოს აქაც ფორმულები ჰქონდეს დასა-წერი. გაშეშებული ვდაგვარ და ვუყურებ. ალბათ, ზუსტად ასე მოსდის საწყალ ბაყაყს, რომელსაც დიდი პითონი უახლოვდება შესაქმელად. ბატონი ანზორი ყურადღებას არ მაქცევს. არც შემოუხე-დავს, ისე ამიარა გვერდი და წინ, უფრო ცარიელი ადგილებისკენ წავიდა. იქ ვილაღ გოგონა წამოდგა და ადგილი დაუთმო. კიდევ ერთი სასწაული. ეს გოგონა თეაა.

- თეა! - დავუძახე. გამოიხედა. გამიცინა. მზე ამოვიდა. გამოცდაც დამავინცდა, ჯიბეში რომ ერთი თეთრი არ მაქვს და ყველაფერი. მუჯღუ-გუნებით გავიკვლიე გზა. ძლივს მივაღწიე.

- როდის ამოხვები?
- მისიშვილი მყავდა ზოოპარკში, - მაინშ-ნებს პატარა ბიჭზე, რომელიც ბატონი ანზორის გვერდით ზის და აზრზე არ არის, ვის გვერდით ზის; ზოოპარკი მონაგონია! - შენ სად მიდიხარ?
- მე სასაფლაოზე, - უკვე ჩემს გეგმას დავუბ-რუნდი. ახლა მკითხავს, სასაფლაოზე რა მინდა! პასუხიც მზადა მაქვს. წლისთავია ჩემი გარდაც-ვლილი ნათესავის.

- სასაფლაოზე რა გინდა?
- ნათესავის წლისთავია. სასაფლაოზე ვიკ-რიბებით, - ვიტყუები. მერე რა! ვითომ ადვოკა-ტი ვარ. სადღაც ნავიკითხე, თურმე ადვოკატები დღესი ორას ტყუილს ამბობენ. მე რომ ერთი ვთქვა, ვითომ რა! ახლა რა ვქნა? თეაც ხო უნდა დავაბატიო. რას იტყვის, ტროლიბუსის ფული არა აქვსო. აბა ხომ არ მოეუყვები, რომ დღეს სადგურში ვიყავი. იქ ბოლო ორლარიანი ნაგაგე პოკერში. არ ჩამოვიდა „მარშუტკა“, რომელსაც ჩემთვის სანოვავე და ფული უნდა ჩამოეტანა. გამოცდა რომ მაქვს ჩასაბარებელი, იცის.
- იცანი? - მეკითხება და ღიმილით მანიშნებს პითონისაკენ.

- კი, - ამოვიკვნევ მე.
- აქ უნდა ჩავიდე, - ამბობს უცებ თეა. - გადახდილი იქნება შენი.

- მოიცა, მე უნდა გადავიხადო. ოცლარიანის ხურდა ხო ექნებათ! - უკვე მეორეჯერ ვიტყუები, უსირცხვილოდ. ამასობაში თეამ ბავშვს ერთი ხე-ლი მოკიდა, მეორე ხელი დამიქნია, გადახდილიაო და ჩავიდა. ასე მგონია, რაღაცა დიდად დამტოვა, ჩემმა ნახევარმა. მე მგონი, თეა ჩემი მეორე ნახე-ვარია. კიდევ რომ ვნახავ, აუცილებლად ვეტყვი, რომ მიყვარს, რომ ის ჩემი მეორე ნახევარია, რო-მელსაც მთელი ცხოვრება ვეძებ და რომ უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. ოღონდ ჯერ გამოცდა უნდა ჩავაბარო!

ამ დროს ვგრძნობ, ვილაღის ხელი ჩემს ჯი-ბეში მიძვრება. ალბათ, ოცლარიანს ეძებს. ამ ჩემს ფეხებს ნახავს! გამომივიდა ესეც პატრული. ხელს ვიჭერ.

- არ არი, - ვეუბნები ჩუმად.
- რა? - მეუბნება ის უფრო ჩუმად.
- ოცი ლარი! - ისევე ვეუბნები მე ჩუმად.
- ხელი გამომი! - მეუბნება ის უფრო ჩუმად.
- თუ ძმა ხარ, ათი თეთრი მასესხე, - ვეუბ-ნები მე ჩუმად.
- მალადავებ, ბიჭო? - მეუბნება ის არც ისე ჩუმად.

- რას გალადავებ, ბილეთის ფული არა მაქვს, ათი თეთრი მჭირდება. მასესხე ათი თეთრი და კიდევ როცა შემხვდები, პროცენტებით ოცს და-გიბრუნებ! - ვეუბნები მე, რა თქმა უნდა, ჩუმად.
- ხო, კარგი, ოღონდ ხელი გამიშვი, - მეუბნება ის. აშკარად ფიქრობს, რომ მთლად წორმალური არ ვარ. გავუშვი. ათეთრიანი მომიცა. ახლა მთელ ქვეყანაზე არავინა ჩემზე ბედნიერი. რა პატარა უნდა კაცს ბედნიერებისათვის - ათი თეთრი, სულ ათი თეთრი. ჩავაბარე. გამოცდა ნამდვილად ჩავა-ბარე. ამასობაში ვხედავ, ბატონი ანზორი დგება. აშკარად ჩასასვლელად ემზადება. მე კვლავ მუჯ-ღუნებით გავიკვლიე გზა. ბატონ ანზორსაც გადავუსწარი და მძღოლს ათეთრიანს ვანვდი.

- აიღეთ ათი თეთრი. ხო, ჩემი გადახდილია. ამით სხვას ეპატივებ, - ის მართლმეც. ამასობაში ბატონი ანზორიც მოდის კართან.
- გადახდილია თქვენი, ბატონო ანზორ! - ვეუბნები. ახლა მთავარია, გამიღიმოს, ესე იგი, ჩავაბარე.
- ნუ წუხდებით, ყმანვილო. წელან გოგონამ გადამიხადა უკვე...



მაია ნაცყაშვილი

ძაღვის ძველი ლექსები

სევსრიუმი

თუმცა ძალიან მიჭირს
ლაპარაკი ამ თემაზე,
რადგან ასე თუ ისე მეც მეხება,



შალვა საბაშვილი

საქართველოს წამოშლის თიქრებს

სალამო ახალთ წამოშლის ფიქრებს,
ჩემს სმენას მაშინ სხვა დაფდაფი კრებს,

ჩაქროლს მიწვევებს

ლამეთა შორთა
სად მიდის კვალი?
ნათებას ტბორთა

და სული სხეულს ჯიუტად ებრძვის.
დღისით, სანამ სტანდარტული ცხოვრების
სტაბილურობაში ერთობი,

რახუნებს

ჩამონვა ლამე - ნაზი და ფრთხილი,
და უმიზეზო, როგორც სიკვდილი,

ოთახი

ვზივარ და ვფიქრობ...
ჩემი ოთახის კვადრატულ ჭერზე,

როგორც ფარდები, თრთიან ლანდები,
როგორც გარდასულ დღეთა ასლები,

ჰენკოოჰე

მე შენ გელოდი, გელოდი მაინც
დღეებისა და თვეების მერე...

ნახატი

ავილებ ფუნჯს და დავხატავ ნახატს:
უცისფრეს ზეცას და უმწვანეს ველს...

ნახატი

აქ ერთი კენჭიც კი არ მეკუთვნის,
ერთი ფოთოლიც არ არის ჩემი...

შეჩივებს

უჩუმრად, ფრთხილად
მე გადმოვიფარე ჩემი თავიდან,

რა განძებს ათობს
სსოვნათა ალი?
რა გრძნობებს დათმობს

მოწოდებულო რიგებისთვის

სხვა სიმაღლეზე მიუყვება ის თავის შარას,
მისდევს ლაყვარდებს, ფეხს აბიჯებს დანდობით ტინებს,

ვინ აიყვანოს ხელახლა მთაზე?
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამალდელები,

ი. ჭავჭავაძე

სრულიად სხვაგვარ იალქნით ქროდი,
სრულიად სხვაგვარ ტალღებს სერავდი,

„სხვას ძირს არ დასწევ“ - გვიმხელდი ზრახვას,

გრძნობდი ცთუნების ძალას ონავარს
და რასაც ფლობდი, მთლად მოგიცია,

ეს რა სიმაღლე გადავივლია!
რა სანახავი მოგვიხილია!

წერილი ლექსები

წერილმარცვლოვანი
მიყვარს რიტმები,
აზრს მოკლედ ხსნიან,



ხევა გაკრული განცხადებისა

შეიძლება თუ არა, ხეზე გაკრულ ერთ კერძო განცხადებებში ერთდროულად აირეკლოს პიროვნების კვალიფიკაცია...

თურმე შეიძლება. მე ეს განცხადება ლაივში არ მინახავს...

აი, განცხადების სრული ტექსტი: „მომზადება ქართულში გამოცდილი რეპეტიტორი...“

შესანიშნავი პირობები - ანა ზღაურება გამოცდების ჩაბარების შემდგომ და შედეგის მიხედვით...

მე რომ გარშემო ფილოლოგიების არმია არ მეხვიოს და შვილი ან შვილიშვილი მყავდეს ქართულში...

საზიარო კანტაზრისა

კენტავრების მთელი რემა მყავს ლექსების უფრამი. ზოგიერთი მათგანი თავის დროზე გამოიქვნიება...

არდაანგრიოდ შენეირი „კენტავრები“, ჩემი უდიდესი დეფინიციით...

აი, კიდევ ერთი ჩემი კენტავრი: ნიგნორირება.

ერთიც: ბანკეტიკეტი. და კიდევ ერთი: თოჯინალოლობრივიდბარდო...

ზოდა, ამასწინანდელი არჩევნების მეორე ტურის დამთავრებისთანავე...

მეორე დღეს 4 ნოემბრის ხუთშაბათი დგებოდა და ვიფიქრე, მოდი...

მართლაც, იმ ხუთშაბათს სხვა ლექსი დავდე, ეს კი რჩევისათვის ჩემს ორ მეგობარს...

აი, ჩემი მიმონერის ფრაგმენტი რაულ ჩილაჩავასთან...

ერთსიტყვიანი ლექსი შევიგულე. შენი აზრი მაინტერესებს, როგორი რეაქცია შეიძლება მოჰყვეს...

გენიალურია! - არ მინდა, რომ მხოლოდ პოლიტიკური ამბავი დაინახონ მასში...

- ჩვენ სიტყვის და რითმის ხალხი ვართ. აქ უფრო სიტყვათამაში და ოსტატობა უნდა დაინახოთ...

გია მურღულია უფრო თავშეკავებული აღმოჩნდა შეფასებაში და უფრო ფრთხილიც:

„1) კარგია - გონებაშეხვედრებიც და დროის მიზნობრივიც; 2) რეაქცია მოჰყვება უთუოდ...“

ამასობაში ამ ჩემს კენტავრს სახელი დავარქვი, რომელსაც, ჩემი

ნაცვლიშვილი და არა ვაიპოლიტიკოსი...“

პოლიტიკურად ანგაფირებულობა დაეზრალეზინათ, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ვაიპოლიტიკოსად რომ მომნათლეს...

მაგრამ კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ის, რაც პარასკევს ჩემმა რეალურმა და ფეისბუქ-მეგობარმა ზვიადმა...

„კი განმარჯობა, ჩემო ბატონო! არ ვიცი, ამ შემთხვევაში როგორაა, მაგრამ ნალენჯიხაში გადასვლა რომ დააანონსეს პოლიტიკოსებმა...“

თეატრის მხატვარმა, შოთა გლურჯიძემ, დანერგე უკვე სიტყვა. პოდა, იმედია, ექსკლუზივზე და რაიმე სხვა უფლებებზე პრეტენზია არ ექნება...“

ზვიადს მაშინვე მაღლობა მივწერე, რომ ეს ამბავი გამაგებინა, მე კი ბოილ-მარიოტი გამახსენდა თავისი ნუცუბიძე-პონიგმანინად.

თუმცა მინიატურული და კარიკატურული, მაგრამ მართლა ბოილ-მარიოტის კანონი და ნუცუბიძე-პონიგმანის თეორია გამოვიდა...

ეტსკლუზივურიობის რა გითხარათ და, პრიორიტეტი კი შოთა გლურჯიძეს ეკუთვნის. მერე რა, რომ ჩვენ-ჩვენი კენტავრები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და შეიძლება, ერთდროულადაც გვეწვივნენ ფიქრებში?!

მე წინა პლანზე სიტყვათა თამაში წამოვიწვი, მან კი - პოლიტიკური მხარე?! მერე რა, რომ ჩემი კენტავრი „გენიალურად“ და „სასწაულად“ მონათლეს...

ისიც აშკარაა, რომ ჩემი უდიდესი პოეტური შეფუთვა ფეისბუქ-საზოგადოებას მაინც და მაინც არ მოეწონა და გლურჯიძის შიშველმა პოლიტიკენტავრმა გაცილებით მე-

ერთხელ ირაკლი ჯავახიძეს რამდენიმე ათეული ლექსი მივუტანე „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოსაქვეყნებლად...

ლექსები რომ წაიკითხა, ირაკლი მეუბნება, შენ არ გეცოდინება, მაგრამ მამარქმს ერთი მსგავსი სტრიქონი აქვს...

რას ჰქვია დაეფინება რას ჰქვია დაეგეტფოთო რა თქმა უნდა, ლექსი ამოვიღე და არც მიკითხავს...

მერე ვნახე ვახტანგ ჯავახიძის ეს სტრიქონები კარგა ხნის შემდეგ გამოცემულ მის ბრწყინვალე წიგნში „ელეგია და სხვა“...

„აგერ ახლა ეს ეს არი, დავიკიდეთ ესესერი. ერქვა: ესესერი! არის უსუსური!“

და ნეტა როგორი იქნება ნალენჯიხის ანკლავი? უსუსური თუ სუსური?

ან ის გაკენტავრებული ჯიხადა როგორი იქნება? ნალენჯიხისა თუ ნალენჯიხის წინააღმდეგ? ან რა არის ნალენჯიხური ჯიხადა - პროგნოზი თუ დიაგნოზი? არა, მართლა ორლესული კენტავრია!

საქარა მინაზე დატოვებული ბარათისა

„გამარჯობა! პარკირებისას ფართან გავკანრე თქვენი მანქანა. დამირეკეთ. გავაკეთებ. ბოდიში. მარიამი.“ და იქვე - ტელეფონის ნომერი.

ასეთი ბარათი დახვდა სითი-მოლიდან გამოსულ ცნობილ მომღერალს თამარ ივერს თავისი მანქანის საქარე მინაზე.

მან ეს ამბავი თავის ფეისბუქ-მეგობრებს გაუზიარა: „არ მეგონა, რომ ამ ქვეყანაში კიდევ არსებობდნენ ასეთი კეთილსინდისიერი ადამიანები.“

მისი ასეთი შესტის გამო... რა თქმა უნდა, არაფერი არ გადავახდევი... მოგვიანებით მისი ვინაობაც დავადგინე ფბ-ზე... მაგრამ არ „გამოვაშკარავებ“, შეიძლება იუხერხულსო. თუმცა, სასიხარულოა რომ ამდენ ნეგატივში, ისეთ ადამიანს აღმოაჩენ შენს ირგვლივ, როგორც მარიამია!“


მართლაც, გული გაგინათდება, ასეთ რამეს რომ წაიკითხავ. ამ პატარა პოსტმა 2 ათასამდე ლაიკი აკრიფა 12 ნომბრის შემდეგ...

იყო მარიამის ქება და ანალოგიური შემთხვევების გახსენება. ერთმა მოხერხებულმა კომენტატორმა კი ამ ამბავში გაცნობის შესაძლებლობა დაინახა.

„ვაა ვინმეს გაცნობა თუ მინდა ეს მშვენიერი საშვალეა იქნება! :) გავითვალისწინებ და გაუკანრავ სარკეს! :)“

დიდად პრაქტიკული ჩანაფიქრია, იუმორით გაჯერებული, მაგრამ ორ პატარა წინადადებაში რომ ორი უხეში შეცდომაა (პუნქტუაციაზე არაფერს ვამბობ), მონდომებს კი სარკეგაკანრული მანქანის პატრონი ასეთთან დარეკვას? იქნებ ურჩევნია, იმ სარკეს თავად მიხედოს და ასეთთან საქმე არ დაიჭიროს?!

►► გაზარდულია იანვრა



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

პაატა ნასვლიშვილი

ფიქრით, სწორედ სიტყვათა თამაშისკენ უნდა წაევანა მკითხველი და თუ მაინც პოლიტიკური კუთხით შეხედავდა, მისთვის მომგებიანი კუთხიდან დაინახა.

სათაური ლექსზე გრძელი გამოვიდა: „ერთსიტყვიანი ორლესული დიას(პრო)გნოზი“.

ეტყობა, იმის გამო, რომ ეს კენტავრი „ხუთშაბათის ლექსების“ რკალში მოვაქციე, ჩემი შიში არ გამართლდა და დამლაიქებელ-დამგულელებულ-დამშაპავებლებმა იგი ადეკვატურად აღიქვეს.

არცთუ მრავალრიცხოვანი კომენტარებიდან კი ორი მინდა გამოვყო:

რაულ ჩილაჩავა: „ბევრის მთქმელი და დამტევი ერთსიტყვიდია! იმედია, საქმე ჯიხადამდე არ მივა, მაგრამ ეს შესანიშნავი კომპოზიტი დარჩება, როგორც ჩვენი რთული დროის ზუსტი დასასიალება“.

ცირა შალაშვილი: „სათაური - კიდევ უკეთესი!“

გამიხარდა, რომ სათაურიც მოინონეს. გამიხარდა, რომ ტყუილად არ მიფიქრია სათაურზე გაცილებით მეტი, ვიდრე თავად კენტავრზე. თუმცა კენტავრზე საერთოდაც არ მიფიქრია - თავად შემოჭენდა ჩემს ფიქრში.

მაგრამ პოლიტიკურ დამუნათებას და შეურაცხყოფას მაინც ვერ ავცდი:

სულ სეფიანაშვილმა თავზე ხელისშემორტყმის სმაილთან თუ გიფთან ერთად ასეთი რამ მომიკომენტარა:

„არ გეკადრებათ, ბატონო პაატა. ჩვენ გვიყვარს პოეტი პაატა

თუ შოთა გლურჯიძის ფიქრშიც ჩემგან დამოუკიდებლად დაიჭიხინა ამ კენტავრმა, - არადა, როგორც ჩანს, სწორედ ასე მოხდა, - ექნება, რატომაც არ ექნება პრეტენზია ისევე, როგორც მე მაქვს, რაკი მეც მისგან დამოუკიდებლად მენვია ეს კენტავრი, თუმცა შოთა გლურჯიძეს თავისი კენტავრი საკუთარ კედელზე სწორედ იმ დღეს გამოუქვნიება, როცა მე რაულ ჩილაჩავას და გია მურღულიას აზრი ვკითხე და ჩემი კენტავრი წარვუდგინე მესინჯერში.“

განა არა, სანამ მომდევნო ხუთშაბათს 95-ე ლექსად „ნალენჯიხად“ დავდებდი, ყოველი შემთხვევისთვის დავგუგლე ეს სიტყვა, იქნებ ჩემ გარდა სხვასაც მოუვიდა თავში-მეთქი, მაგრამ გუგლმა არაფერი ამოაგდო.

შოთა გლურჯიძისთან ფეისბუქზე არ ვმეგობრობ, მისი კენტავრი ჩემის გამოქვნიებამდე რომ მენახა, ჩემსას ჩემი უფრიდან, რასაკვირველია, არაფრით ამოუშვებდი. ზვიადმა გადმომიკოპირა გლურჯიძის გვერდიდან ეს სიტყვა, სამჯერ გამოყენებული სხვადასხვა კონტექსტში:

„დაინყო ნალენჯიხადი?“ (4 ნომბერი.)

„ყველას მოვეუწოდებ - თიბისი ბანკში დახუროს ანგარიში, რათა მისი სახსრები არ იქნას გამოყენებული ნალენჯიხადისათვის!“ (4 ნომბერი.)

„რეველუციას ვერ ვიზამთ, მაგრამ ნერვებს მაგიშლითო. მე კიდევ ნერვის აშლა მინდა???!!! ან მანყვეთ პერეგაროტი, ან გააჯვით აქედან ნალენჯიხადში!“ (9 ნომბერი.)

აპენდეჯა თუ არა? „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს



თქვენს გაზეთში 1989 წელს გამოქვეყნდა წერილი „ეკლესია აბანოდ“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ნაძალადევის რაიონის 1989 წლის 25 ნოემბრის N26145276 გადაწყვეტილებით აბანო-სამრეცხაოს შენობა დაუბრუნდა მართლმადიდებლური ეკლესიის რელიგიურ საზოგადოებას. მოსახლეობა პრესის საშუალებით სანაცვლოდ ითხოვდა აბანოს ახალ შენობას, რისთვისაც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 31.01.89 წ. N02.14.34 გადაწყვეტილებით ნაძალადევის რაიონში გამოიყო მიწის ნაკვეთი რკინიგზისა და ჩოდრიშვილის ქუჩებს შორის. ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურიდან გაიცა სამშენებლო პასპორტი N43. გენგეგმით გამოყოფილი მიწის ნაკვეთი არის 2057კვმ. გაერთიანება „ჰიგენის“ ადმინისტრაციის 25.07.89წ N2/147 ბრძანებით დანიშნული ვარ მშენებარე აბანო-სამრეცხაოს გამგის მოვალეობის შემსრულებლად. 1989 წელს გაკეთებული პროექტი იხანება ქ. თბილისის ცენტრალურ არქივში.

1990 წლისთვის აბანო-სამრეცხაოს მშენებლობა შეტანილი იქნა მშენებლობის სატიტულო სიაში. გენგეგმით გამოყოფილი 2057კვმ მიწის მონაკვეთიდან დოსააფის რაიონული კომიტეტის მიერ დაკავებული ფართობის გამოთავისუფლებულ მიწის მონაკვეთზე იწყება დამტიციკებული პროექტი აბანო-სამრეცხაოს მოშენების ფართის (849,13 კვმ მიწაზე) მიწის სამუშაოები. 1990-1992 წლებში პარალელურად მიმდინარეობს მოზინდრეების 2057კვმ მიწის მონაკვეთიდან საცხოვრებელი ფართობის გამოთავისუფლება და ამ დროს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულია 9 ოჯახი, ასათვისებელია კიდევ 5 ბინა. მშენებლები ითხოვენ მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლებას მთლიანი, 2057კვმ მიწის მონაკვეთიდან. ამასთანავე, შესაბამისი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას პრესის საშუალებით, რადგან ამ დროს ქვეყანაში არ იყო შუქი, არ იყო გაზი და ამას ემატება მიწისძვრის შედეგად სამშენებლო ამწე-მექანიზმის გადაყვანა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ რაიონში, თანაც შეუძლებელი იყო ხუთსართულიანი 849,13კვმ მოშენების ფართის შიგნით მდგარი ამწე მექანიზმით მშენებლობის დამთავრება, ამას ემატება მიწის ნაკვეთის მოზინდრეებისგან არ გამოთავისუფლება და ყველაზე მთავარი გულდასაწყვეტი, ფინანსთა სამინისტ-

როს მიერ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთვის გამოყოფილი საჭირო თანხა ჩაერიცხა კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს 31.01.89 N02.14.34 გადაწყვეტილების შესასრულებლად, რომელიც მიზნობრივად არ იქნა ათვისებული, დაიკარგა.

ნაძალადევის რაიონის ვაჭრობის და მომსახურების განყოფილების უფროსის 01.05.1993წ N60 ბრძანებით გამოყვანილად ვითვლება ნაძალადევის რაიონში დელეგირების გამო მშენებარე აბანო-სამრეცხაოს გამგედ.

1994 წლის 18 აგვისტოს N570 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დაუმთავრებელი აბანო-სამრეცხაოს მშენებლობა შეტანილი იქნა საპრივატიზებო ობიექტების სიაში.

1995 წლის 13 აპრილს N6-615 წერილით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა მიშუამდგომლა საქართველოს პრემიერ მინისტრის მოადგილის სახელზე, რათა აბანო-სამრეცხაოს ყოფილ თანამშრომლებს გვესარგებლა შრომითი კოლექტივის უფლებით და მოეცათ პრივატიზაციის ნებართვა. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის, ფინანსთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და ქონების მართვის სამინისტროს 10.05.1995წ N43/35 პასუხით ქ. თბილისის ქონების მთავარი სამმართველოს კოლექტივის ოქმი N35.10.876 13.09.1995წ გადაწყვეტილებით მომცეს დროებით სახელშეკრულებო ვალდებულება განსაკუთრებული პირობებით თავისი მიღება-ჩაბარების აქტით.

დროებით სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შემდეგ 2057კვმ მიწის მონაკვეთზე, როგორც 1078კვმ მოშენების ფართზე, ასევე მთლიან 2057კვმ მიწის მონაკვეთზე საკუთრების მოსაპოვებლად საჭირო თანხის გადახდის შემდეგ მომცეს 1999წ 16 იანვარს საკუთრების დამადასტურებელი მონობა N23/1018-პ, მონობის გაცემის საფუძველი მიღება-ჩაბარების აქტი N98 14.01.1999წ ხელშეკრულება N5-პ/1489 16.01.1999წ ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჩოდრიშვილის ქ. N1-ში მდებარე აბანო-სამრეცხაო (დაუმთავრებელი მშენებლობა) აბანოს მიშენების ფართი 849,13კვმ საქვების მიშენების ფართი 229,36კვმ (მიშენების საერთო ფართი 1078,49კვმ) საკუთრების მონობაში მითითებული 1078,49კვმ მოშენების ფართი რომ განფინო ან დაეტიოს გენგეგმით გამოყოფილ 2057კვმ მიწის მონაკვეთზე, საჭიროა მიწის მონაკვეთის გამოთავისუფლება ამ ოჯახებისგან, რომლებზეც

ბინა გამოყოფილია ნაძალადევის რაიონის N291 და N371 გადაწყვეტილებით. ამ ბინების ასათვისებლად საჭირო გახდა, მიგვემართა სასამართლოსთვის საქმე N2/317-08 03.06.2009წ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი 02.05.2011წ და გადაეცა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. აღსრულების პოლიციის სამმართველოს წარმოებაშია 2011 წლის 10 მაისიდან. 2005 წლის 19 აპრილი N16636/2005წ რეგისტრირებული იქნა 2057კვმ მიწის ნაკვეთი. მე ვცდილობ საკუთრების მონობაში მითითებული პრივატიზაციის პირობების შესრულებას და ვითხოვ მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლებას, რადგან ქ. თბილისის მთავრობის ვიცე-პრემიერის სახელზე არის 7 ოჯახის კოლექტიურ განცხადებაზე 19.08.99წ და 02.09.99წ ქალაქის მთავარი არქიტექტორის პასუხი – ასაღები სახლის დატოვების შემთხვევაში აბანო ველარ აშენდება. ჩემს მოთხოვნას მოჰყვა ახალი საჩივრები სასამართლოში, 2007 წელს. 1) 23 ივლისი საქმე N3/1866; 2) საქმე N1-93; 3) საქმე N3578; 4) საქმე N3/79-07 და სისხლის სამართლის საქმე N001080043. ამათგან სასამართლოს პირველ ინსტანციაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან არც ერთი არ გაუსაჩივრებიათ სააპელაციო სასამართლოში. სისხლის სამართლის საქმეზე საექსპერტო კომინალურ მთავარ სამმართველოში მიღებული არის 22 მარტი 2008 წლის ექსპერტიზის დასკვნა N22, არც ეს გაუსაჩივრებიათ სააპელაციო სასამართლოში.

ნაძალადევის გამგეობამ რომ გაიგო, მიწის ნაკვეთი შედიოდა რაიონის დაქვემდებარების ბალანსზე, შეეცადა, თავისი 36-182; 27.09.99წ მიემართა მერიისთვის თბილქალაქპროექტისათვის და რეკონსტრუქციის ზონაში დარჩენილი 7 ოჯახისთვის. ეს იყო ძალიან ცუდი სიგნალი, რადგან გამგეობას ევალეა მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლება და ამასთანავე ევალეა 31.01.89 წ N02.14.34 გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი. ასეთ დროს, როცა რამდენიმე ადმინისტრაციული საჩივარია დაწყებული და მაინც მიმართავთ სასამართლოს, საქმე N3/2721-09წ სასამართლოს გადაწყვეტილება 09 მარტი 2010წ გამგეობის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არც აგრძელებს სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ მოსარჩელე ხდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – საქმე N3/3728-09 თბილისის საქალაქო სასამართლოს 30 ნოემბრის 2010წ გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. შემდეგ აპელანტი საქართველოს მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნა ისე დაკმაყოფილდა, როგორც მათ სურდათ, არ იქნა გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის გამოყოფის დანიშნულება. არ იქნა გათვალისწინებული სასამართლოებში დაწყებული საჩივრების დამთავრება, არც სასამართლოში მონაწილე მესამე პირებისთვის: რაისა ბერუაშვილი, ნინო შიშნიაშვილი, მაია გოგასაძე, ტარიელ გელაძე, ლუიზა საბანაშვილი, ლილა მელქუაშვილის სახელზე. მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული საბინაო სერვისცენტრის მიერ გაცემული ფართობი შეადგენდა ერთად 127კვმ საცხოვრებელ ფართობს. სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს საცხოვრებელი ფართები, არც ერთი არ იყო ტექნიკურში რეგისტრირებული, არ გააჩნდათ აზომვითი ნახაზი ან სახლის გეგმა ნოტარიალურად დამონებულ. 31.01.89წ N02.14.34 გადაწყვე-

ტილებით გამოყოფილი მიწის მონაკვეთი არის სარეკონსტრუქციო ზონა, ამ სარეკონსტრუქციო ზონაში მოყოლილი ამორტიზებული საცხოვრებელი ოთახები აღარ განეკუთვნება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდს. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ სასამართლოში მონაწილე მესამე პირებს მისი საცხოვრებელი ფართიდან ზოგ მიღებული აქვს ორი ბინის ორდერი, მესამე ბინაშიც ჩამაგრებულია; ზოგ ძირითად დამქირავებელს ბინა მიღებული აქვს და როცა ქალაქ თბილისის მერიის 05.10.92წ N1328 განკარგულებას არ ითვალისწინებთ, არც ქ. თბილისის მთავრობის 10.11.2005წ N20.03.412 დადგენილებას არ ითვალისწინებენ და ვისაც ეს დადგენილება სახელმძღვანელოდ აწერია, ის ადამიანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტ მოზინდრეს მოუპოვოს საკუთრება, არარსებულ საცხოვრებელ ფართზე და სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ მას მიანერენ, მას აბრალებენ.

სასამართლომ მყიდველს გაუუქმა 2005 წლის 19 აპრილის N16636/2005 სარეგისტრაციო ჩანაწერი, მაგრამ სასამართლომ არ გაითვალისწინა ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრივატიზაციის პირობების შესასრულებლად 20 წლის, მე მჭირდება თანამესაკუთრების თანხმობა, ეს რომ იყვეს მხოლოდ 7 ოჯახის თანხმობა, მაშინ შეიძლება მათი ბინებით დაკმაყოფილება, მაგრამ ხელოვნურად გაზრდილ მოზინდრეებზე საკუთრების მოპოვება, რომელთაც არ გააჩნიათ კომუნალური გადახდის ქვითრები, არც პირველადი აღწერის დროს არ დაფიქსირებულა. მოსამართლე საქმე N36/282-11 30 მარტის 2011 წლის გადაწყვეტილებით მიუთითებს საკუთრების უფლება წარმოგვშაბთ 1078კვმ მიშენების ფართზე. როცა აბანო-სამრეცხაოს 849,13კვმ მიშენების ფართსაც ვერ ვარეგისტრირებ მიწის ნაკვეთის არგამოთავისუფლების გამო და ასეთ დროს საქვებზე მეურნეობის მიშენების 229,36კვმ მიწის მონაკვეთის რეგისტრაცია ფიზიკურად შეუძლებელია მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლების გარეშე. როცა სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებ, რადგან აბანო-სამრეცხაოს მიშენების 849,13კვმ მიწის მონაკვეთი საპროექტო მონაცემებით მოითხოვს 34800 მ სიგრძის და 24000 მ სიგანის მიწის მონაკვეთს, ამის შემდეგ საქვებზე მეურნეობის 229,36კვმ მიშენების მიწის მონაკვეთი სად უნდა მოათავსო – ამას ხომ სჭირდება 15 მ სიგრძის და 15 მ სიგანის თავისუფალი მიწის მონაკვეთი. საპროექტო მონაცემებით მითითებულია ორი ამწე მექანიზმი. პირველი – კოშკური ამწე K5-503, მეორე – საავტომობილო ამწე KC-4361A. კოშკური ამწეთი ჯერ აშენდება 5-სართულიანი 849,13კვმ მოშენების ფართის შენობა. შემდეგ საავტომობილო ამწეთი აშენდება საქვებზე მეურნეობის 229,36 მოშენების ფართი. ამწე-მექანიზმი ორია გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის სიძვირის გამო. ამ მიწის ნაკვეთით დაინტერესებული ადამიანები არ ითვალისწინებენ, სად უნდა დაყენდეს კოშკური ამწე მექანიზმი. ძველ ტექნიკურ ბიუროში დაცული იყო წერტილი, მძიმე, თქვენ რა გემართებათ, ქალაქის არქიტექტორის დასკვნას არ ითვალისწინებთ. მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლების გარეშე აბანო-სამრეცხაო ვერ აშენდება.

განმცხადებელი: **მ. სუბუნიანი**

იანის რაინისი და ასპაზია. „სამფერი მზე“. ლექსები, მიმოწერა, აფორიზმები. ლატვიური, ქართული და უკრაინული ენებზე. გამოცემის იდეა, კონცეფცია და ნინასიტყვაობა – რაულ ჩილაჩავა. პროზაული ტექსტების უკრაინულად მთარგმნელი – ია ჩილაჩავა. რიგა, 2007.

რაულ ჩილაჩავა

ლატვიური
პრიპიტი



მეფე-დედოფალი
მზის ტახტზე

მკითხველი, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ თითქმის თითხვე ჩამოსათვლელია ოჯახები, სადაც ცოლიცა და ქმარიც დიდი ხელოვანი ყოფილა და მათ ერთ ჭერქვეშ ბოლომდე გაეძლოთ. იანის რაინისი და მისი მეუღლე ასპაზია ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისთაგანია არიან, თუმცა უღრუბლო ურთიერთობა არც მათ ჰქონიათ.

როცა ეს დიდი ოჯახი იქმნებოდა, ელზა როზენბერგა, რომელმაც შემდგომ ფსევდონიმად ასპაზია აირჩია, უკვე ცნობილი პოეტი და დრამატურგი იყო, რომლის მსგავს პოპულარობაზე ახალგაზრდა უფრანსისტა და მთარგმნელს იანის პლიეკშანსს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. ამას მოწმობს თავად რაინისის წერილები, რომლებსაც იგი გადასახლებიდან უგზავნიდა მეუღლეს. მხოლოდ მოგვიანებით, საკუთარი პოეტური ნიჭის სრულყოფის მერე დაეწია რაინისი ასპაზიას და ერთგვარად გადაასწრო კიდევ.

იანის პლიეკშანსი, რომელსაც დღეს მსოფლიო რაინისად იცნობს, მოიჯარის ვაჟი იყო. დაიბადა აღმოსავლეთ ლატვიაში – ლატგალაში, სადაც ბავშვობის საკმაოდ უზრუნველი წლები გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ლატვია მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა, იქ უწინდებურად დიდი იყო გერმანული კულტურის გავლენა და პატარა იანისმაც ადგილობრივი პასტორისგან პირველად სწორედ გერმანული წერა-კითხვა ისწავლა. 1883 წლის დეკემბერში ფრიადზე ამთავრებს რიგის გიმნაზიას და მომდევნო წლის შემოდგომაზე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. 1888 წელს ახლად გამოცემული იურისტი მშობლებთან ჩადის და თითქმის ნახევარ წელიწადს მათთან ატარებს, მერე კი მიემგზავრება თავის პირველ სამუშაოზე ვილინუსში, სადაც ორ წელიწადს დასკოფს.

1891 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი ნაშრომისთვის „იუსტინიანეს კანონი“ სამართლის კანდიდატის ხარისხს ანიჭებს. იმავე წლიდან იგი ისევ სამშობლოშია და „დეინას ლაპას“ რედაქტორი ხდება. ამ გაზეთის გარშემო ყალიბდება მარქსისტული მოძრაობა „ახალი დინება“, რომლის ერთ-ერთი იდეოლოგიც რაინისია. ამ დროისათვის გაზეთთან აქტიურად თანამშრომლობს უკვე სახელგანთქმული პოეტი ქალი ასპაზია, ეცნობა მის რედაქტორს, რომლის ლექსების პირველი მკითხველი და შემფასებელი ხდება. მათი შემოქმედებითი თანამშრომლობა მალე სიყვარულში გადაიზარდა და ქორწინებით დაგვირგვინდება.

ასპაზია მეუღლეზე ექვსიჯერ თვით უფროსი იყო. დაიბადა შექცეული ზემგაღებული მუშურნის ოჯახში. სასკოლო განათლება მიიღო ელგავაში. სიყვანვილის წლებშივე დაეუფლა გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

პირველი ლექსი „ახალი წელი“ 1887 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „დეინას ლაპასში“. პოეზიასთან ერთად კალამს დრამატურგიაშიც ცდიდა. განსაკუთრებული წარმატება მოუტანა პიესა „ვაიდელიოტემ“, რომლის პრემიერაც 1894 წლის 31 იანვარს შედგა რიგის ლატვიური თეატრის სცენაზე. იმ დროისთვის ასპაზია უკვე თეატრში მუშაობდა და ცნობილი პოეტი იყო.

როგორც იურისტმა, მან პირველივე საქმე წააგო, მომდევნოსთვის კი ხელი, მგონი, არც მოუკიდია. მწერლობა იქცა მისთვის უმთავრეს მოწოდებად, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ერთხანს რედაქტორობდა გაზეთ „დეინას ლაპას“, ხოლო ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ სეიმის დეპუტატი და განათლების მინისტრიც იყო. ძალიან უნდოდა ქვეყნის პრეზიდენტი გამხდარიყო და ეს არ მოხდა იმიტომ, რომ არ გააჩნდა პოლიტიკური მოღვაწის ნიშან-თვისებები და კიდევ იმიტომ, რომ აქტიური სოციალ-დემოკრატი იყო და პოლიტიკურ ძალთა შეუსაბამობის გამო არჩეული ვერ იქნებოდა. ამ მარცხს იგი ძლიერ განიცდიდა.

რაინისმა წააგო არჩევნები იანის ჩაქსტესთან, რამაც, შესაძლოა, მისი სახით ლატვიას დიდი პოეტი შეუნარჩუნა. სხვანაირად, მთელი მისი მხატვრული სიდიადის მიუხედავად, ჩვენ შეგვეძლო დავგვეკარგა მისდამი სიყვარული.


რაინისის გულგატეხილობას სხვა მიზეზებიც ეძებნება. პირველ მათგანს ვპოულობთ 1919 წლის 10 ივნისის დღიურში, სადაც წერია: „მე უნდა მივიღო ნობელის პრემია...“ მეორე მიზეზი კი მსახიობ ქალ ოლდა კრიგერისადმი მოულოდნელი ტრფობა ყოფილა, რომელსაც გვარიანად გაუზზარა; მაგრამ ბოლომდე ვერ დაუნგრევია მისი და ასპაზიას ოჯახი. პოლიტიკურ მონაწილეობას და კოლეგა მწერლებს იმდენი უმეცადინიათ, რომ იანის რაინისი ხოლმის პრემიაზე არც წარუდგენიათ, ხოლო ახალგაზრდა ქალის ტრფობით გამოწვეული გრძნობები პოეტს გადმოუფრქვევია ლექსთა კრებულში „მთვარის ასული“.

რაც შეეხება ასპაზიას, იგი, მიუღებელი იდეების მატარებელი, უსაგნო პოეზიის ადვოკატად მიაჩნდათ. სინამდვილეში არც რაინისის შეფასება იყო ბოლომდე მართალი და არც ასპაზიას. რაინისის სოციალისტობის მიღმა იმაღებოდა მისი დრამატუზმით აღსავსე, მძაფრი ვნებებით დატვირთული ინტიმური, ფილოსოფიური და საპეიზაჟო ლირიკა, მისი კოსმოსური ხილვებით დახუნძლული მეტაფორული პოეზია, ხოლო ასპაზიასთვის მონიფულუობის წლებში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციებიდან მართლაც ჩამოშორებას ხელი არ შეუშლია, 20-30-ან წლებში დაენერა და გამოეცა მნიშვნელოვანი პოეტური კრებულები, რომლებიც წარმოგვიჩვენებს მის დრამატულ სულიერ სამყაროს.

იანის რაინისმა შედარებით ცოტა, სულ 65 წელი იცოცხლა, მაგრამ ერთობ ბევრის გაკეთება მოასწრო. მან დაურიდებლად განახორციელა ლატვიური ლექსის რეფორმა, გამამდიდრა იგი ახალი ვერსიფიკაციული ხერხებით, იდეურ-შინაარსობრივი, სახეობრივი და სტილისტური ძიებებით, შემოიტანა მასში მედიტაციური ნაკადი.

ის იყო მზის მხურვალე მოთაყვანე მეტაფორული თვალსაზრისით, რაინისისთვის მზე სიყვარულსა და პოეზიას ნიშნავდა. მზის თემა არც ასპაზიასთვის ყოფილა უცხო. როგორც შემოქმედი, იანის რაინისი ეძებდა ოქროს კვეთს და იმედოვნებდა, რაკი ის ტექნიკასა და ფერწერაში არსებობს, ლექსებშიც ხომ შეიძლება არსებობდესო. ამიტომაც მიმართავდა ექსპერიმენტებს, არღვევდა კანონიკურ ფორმებს, ქმნიდა ახალს და შეიძლება ითქვას, სიახლისკენ ჭაბუკური ლტოლვა არასოდეს განუღებია.

რაინისისგან განსხვავებით ასპაზიამ ღრმა სიბერემდე იცოცხლა, მოესწრო ლატვიის დამოუკიდებლობის დაკარგვას, საბჭოთა და ფაშისტური რეჟიმების მონაცვლეობასაც. მისი სახელი, როგორც ცხოვრებისეული, ასევე შემოქმედებითი ბიოგრაფიითაც სამუდამოდ დაუკავშირდა იანის რაინისის სახელს და ისინი მომავალ თაობათა ხსოვნაშიც, ალბათ, ასე მხარდახმარ იცოცხლებენ.



ჩადარაინისი –
მემაკვიდრე
რაინისისა

როცა ქართულად და უკრაინულად ვთარგმნე იანის რაინისისა და ასპაზიას კრებული „სამფერი მზე“, ნაცნობი ლატვიელები მეკითხებოდნენ: რატომ არა ჩაკსი ან ვაციეტისი?

პასუხი თითქოს ზედაპირზე იდო: იმიტომ, რომ რაინისი ვერ კიდევ სიყმანეილიდან ლატვიის პოეტური სულის განსახიერებად მყავდა წარმოდგენილი, რიგაში ჩასვლის მერე კი ეს წარმოდგენა განივრცო და მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მამრობითი საწყის ასპაზიას სახით მდებდრობითიც შეუერთდა. რაინისმა და ასპაზიამ მე მაგრძნობინეს თავიანთი ენის მუსიკა, ლექსიკური სიმდიდრე და იდიომური მრავალფეროვნება.

„სამფერი მზის“ გამოცემიდან მცირე ხნის მერე მე ისევ დავუბრუნდი ადრე არაერთგზის მოსმენილ კითხვას: „რატომ არა ჩაკსი ან ვაციეტისი?“ გადავიკითხე ამ პოეტების ნიგნები რუსულ, უკრაინულ და ქართულ თარგმანებში, გავეცანი მათი ლექსების უპკარედებს, ალაგ-ალაგ ორიგინალებში ჩანდომაც ვცადე და ბოლოს ვირწმუნე: ამ ორმა პოეტმა თურმე მართლაც ბევრად განსაზღვრა მეოცე საუკუნის ლატვიური პოეზიის მხატვრულ-ესთეტიკური დონე, საუკეთესო ფერებში წარმოაჩინა მისი სახეობრივი და ფორმალური ძიებების სპექტრი, დაგვანახვა ეროვნული პოეტური აზროვნების თავისებურებანი.

ალექსანდრე ჩაკსი, მისი პორტრეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მელოტი, საკმაოდ არაპოეტური შესახედაობის მამაკაცი, პირდაპირ აფრქვევდა და ასხივებდა თურმე არნახულ შინაგან ენერჯიას. მას უხვად ჰქონდა მომადლებული ჰიპერბოლური ექსტრაგავანტურობა, მძლავრი წარმოსახვა და უშრეტე ფანტაზია. მისი ლექსების უმეტესობისთვის აბსოლუტურად ზედმეტია რითმა, იმდენად დახუბნულია ისინი მძაფრი ემოციებითა და მოულოდნელი სახეებით.

თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ ალექსანდრე ჩაკსის ისეთ ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა პატიოსნება, სიკეთე, ადამიანური ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობა. თავისი ხანმოკლე ცხოვრების ორმოცი წელი მან რუსეთის იმპერიასა და დამოუკიდებელ ლატვიაში გაატარა, ბოლო ათწელიწადში კი ფაშისტური ოკუპაციისა და საბჭოთა წყობის „სიტკობიც“ გამოისცადა. იგი დაიბადა 1901 წლის 27 ოქტომბერს რიგელი თერძის ოჯახში (მისი მემორიალური სახლ-მუზეუმის ერთ-ერთ კედელზე ახლაც ჰკიდია მამამისის მიერ მისთვის შეკერილი ჟილეტი). სწავლობდა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში, მსახურობდა ნითელჯარში, 1922 წელს კი სამშობლოში დაბრუნდა, გახდა ლატვიური ურბანიზმის მამამთავარი, მეტაფორული ლექსის დიდოსტატი.

პოეტის დაბადების მეორმოცე წლისთავზე გამოგზავნილ ბარათში მისი მეგობრები ხუმრობით შენიშნავენ: „უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ჩაკსმა ასანია სიტყვის ფასი. გთხოვთ, დაბახინებულად ნუ გაგვიგებთ, რადგან სრულიად სერიოზულად ვლამპარაკობთ. თვითონაც კარგად მოგესხენებათ, რა სასაცილო პონორარს გვიხდინდენ ოდესღაც ლექსის სტრუქტურაში. ჩაკსმა კი რა გააკეთა? მან გვაჩვენა, რომ შესაძლებელია სტრუქტურა ერთი სიტყვა იყოს. ეს ჩვენთვის დიდი შენაძენი გახდა.“

ხუმრობა ხუმრობად და, უმთავრესი ისაა, რომ ჩაკსის მთელი შემოქმედება – როგორც პოეტური, ასევე პროზაულიც – ლატვიური მწერლობის მართლაც ფასდაუდებელ შენაძენად იქცა.

მოხდა ისე, რომ რიგაში დიპლომატიური მისიით რვა თებერვალს ჩაფრინდი. როგორც აღმოჩნდა – ჩაკსის გარდაცვალების დღეს. ამ პატარა წერილს კი 27 ოქტომბერს ვწერ. ეს ჩაკსის დაბადების დღეა. ამ თარიღთაგან არც ერთზე არ მიფიქრია, დამთხვევებს მაშინ მივაქციე ყურადღება, როცა ისინი ენციკლოპედიაში გადავამოწმე. მსგავსი რამ, მინდა მჯეროდეს, შემთხვევით არ ხდება. ისე, როგორც შემთხვევითი არ იყო ჩაკსის ნამდვილი გვარის ჩადარაინისის მისტიკური გადაახილი გენიალური ნინამორბედის ფსევდონიმი. იანის რაინისი ვერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა 1928 წელს გამოვიდა ალექსანდრე ჩაკსის ლექსთა პირველი კრებული „გული ტროტუარზე“, რომელიც მან, იქნებ, ნაიკითხა კიდევ. მისხარია, რომ იმ გულის ძვრას ჩემი თარგმანების წყალობით ახლა საქართველოსა და უკრაინაშიც ვაგონებენ.



ნიურნბერგის
პროცესზე
გამარჯვებული

„ჩვენ ძალიან ვუყვარდით... ოიარსი უყვარდათ ასჯერ უფრო მეტად – როგორც თავისიანი, როგორც წინამძღოლი, როგორც ტრიბუნი, როგორც მესიტყვე, როგორც მესაყვირე, როგორც წინასწარმეტყველი, როგორც ერეტოკოსი და უბრალოდ გულბრძენი ადამიანი... ჩემი თაობა საკუთარ თავს ოიარსით ზომავდა,“ – წერს იმანტს ზიედონისი და, თუმცა მშვენივრად მესმის, რომ გარდაცვლილ მეგობარზე გაცილებით ადვილია ასეთი რამის თქმა, ვიდრე ცოცხალზე, ღრმად ვარ დარწმუნებული, ლატვიის სახალხო პოეტის ეს სიტყვები მართლაც ალაღად ნათქვამია.

ოიარსი ვაციეტისმა სულ ორი კვირით გადააბიჯა ნახევარსაუკუნოვან მიჯნას (დაიბადა 1933 წლის 13 ნოემბერს, ხოლო გარდაიცვალა 1983 წლის 28 ნოემბერს), მაგრამ ამ შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მშობლიურ მწერლობაში მთელი ეპოქის შექმნა მოასწრო.

როგორც თვითონვე მოწმობს და თანამედროვენიც ადასტურებენ, პოეტი განუწყვეტილად სიახლის ძიებაში იყო, ელტვოდა ლექსის ახალ გამომსახველობით ფორმებს, აზრობრივ და მეტაფორულ სიმკვეთრეს, მუშაობდა ყოველდღე, შეუსვენებლად, წერდა, თარგმნიდა, კითხულობდა, მოგზაურობდა.

ლექსთა პირველმა კრებულმა, რომელსაც ერქვა „შორეულ მოგზაურობათა ქარი“ (1956), ოიარსი ვაციეტისის საყოველთაო სიყვარულის ნიაღვარი

დაატეხა თავს. მოზღვავებულ პოპულარობასთან გამკლავება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა და მას დიდი წენისყოფის მოხმობა დასჭირდა, რათა არ აპყოლოდა ცთუნებას, პირველი დიდი წარმატების ჩრდილში არ დაესამარებინა თავისი პოეტური ნიჭი. მან სულ რაღაც ერთი წლით მეტი დაჰყო ამქვეყნად, ვიდრე მისმა სათაყვანო ალექსანდრეს ჩაკსმა, რომლის პოეზიასთან სულიერ ნათესაობას გამოვლენით უსვამდა ხაზს.

ხანდახან მართლაც დიდი ცდუნება ოიარსი ვაციეტისის ალექსანდრეს ჩაკსთან შედარებისა, რადგან ამ ორ პოეტს საკმაოდ ბევრი რამ აქვს საერთო, თუმცა ერთიცა და მეორეც მკვეთრად ორიგინალური ხელწერით გამოირჩევიან.

ოიარსი ვაციეტისის პოეზიაში სათუთი ლირიზმი მოულოდნელად გადადის მწარე ირონიასა და სარკაზმში, ისევე, როგორც თავისუფალი ლექსი რითმიანში, მედიტაციას ენაცვლება პეიზაჟი, ინტიმურ აღსარებებს – სამოქალაქო პათოსი.

ოიარსი ვაციეტისის პოეზია დანაკუნებული პირადი ცხოვრება და მკითხველის ვალია, საკუთარი წარმოსახვის წყალობით ხელახლა აღადგინოს იგი. არაა გამორიცხული, რომ ყველას საკუთარი სურათი გამოუვიდეს: ზოგს რეალისტური, ზოგს რომანტიკული, ზოგს კიდევ სიურრეალისტური, გააჩნია, ეს როგორი წარმოსახვა აქვს.

ოიარსი ვაციეტისმა, რომელსაც, სამწუხაროდ, ბევრი რამ არ დასცალდა ამქვეყნად, მოასწრო უმთავრესი თქმა, მოასწრო თავისი ქვეყნის ისტორიულ სიღრმეებში ჩახედვა და თანამედროვე ყოფის მთელი სისაცხით აღქმაც.

მართალია, იგი ვერ მოესწრო ლატვიის ნამდვილ „ამომოდს“ – აღორძინებას, თუმცა უეჭველია, მანამდე რომ ცოცხალს, მის უპირველეს მესიტყვეთა შორის იქნებოდა.

როგორც ოიარსი ვაციეტისის მთარგმნელს, მე გამიმართლა, რადგან კლასიკური მოთხონის შესაბამისად არა მარტო ვიხილე მისი სამშობლო და ვიცხოვრე კიდევ იქ, არამედ ბევრჯერ ვყოფილვარ იმ სახლშიც, სადაც იგი ცხოვრობდა და ქმნიდა.

ოიარსი ვაციეტისის ცხოვრების მეგზური და თვითონაც შესანიშნავი პოეტი ქალბატონი ლუდმილა აზაროვა (ან, სამწუხაროდ, უკვე გარდაცვლილი) იყო ჩემი გიდი ყოფილ საკუთარ სახლში, სადაც ამჟამად მუზეუმი და ყოველი ნივთი ცოლ-ქმრის მიერ აქ ერთად გატარებულ ბედნიერ წლებზე ლაღადებს. მანვე მომამარაგა სათანადო ლიტერატურითა და კომენტარებით, რის გარეშეც პოეტის სამყაროში მოგზაურობა გამიჭირდებოდა.

სხვათა შორის, ამ სამყაროში ქართველმა მკითხველმა პირველად ვერ კიდევ 1960 წელს შეაბიჯა, როცა ახალგაზრდა ლატვიელი პოეტის კრებული „გაზაფხულის ქარები“ გამოცემილობა „ნაკადულმა“ დასტამბა. მთარგმნელებს შორის იყვნენ ვაციეტისის თანატოლები თამაზ ჭილაძე, ზაურ ბოლქვაძე, მორის ფოცხიშვილი, ზურაბ კუხიანიძე და სხვები. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში ვერლიბრასა და თერთ ლექსს ვერ კიდევ ეჭვის თვალთ უყურებდნენ, ამიტომ პოეტის ამ ფორმებით დაწერილი ზოგი ლექსი მთარგმნელებს ყოველი შემთხვევისთვის გაურითმავთ.


მოგვიანებით ოიარსი ვაციეტისის ლექსები თარგმნა რენე კალანდია, რომელმაც, ჩემი აზრით, ჩვენს მკითხველს კარგად უჩვენა გამოჩენილი ლატვიელი პოეტის ნამდვილი შემოქმედებითი სახე.

„მას ყველაფერში ბოლომდე ბედი სწყალობდა, მან მოახერხა, ახალგაზრდა გარდაცვლილ მწერალს პენრიკ ვერგელანზე კნუტ ჰამსუნი. თუ ახალგაზრდობაში სიკვდილი ბედის წყალობად ჩაითვლება, ვაციეტისს აქაც გაუმართლა: იგი ცხოვრებიდან ადრე წავიდა, მაგრამ მისი თავანკარა პოეზიის მძლავრი მდინარე ლატვიელთა სულეში დღესაც ისევე ლაღად მოედინება, როგორც მისი საყვარელი მდინარე გაუთა სიგულდის თვალწარმეტაც ხეობაში.“

აგაპი მოგონებებზე, ფესვების დაკარგვასა და მის ხელახლა პოვნაზე



საჭიროა საკუთარ ენას ისე მოვუაროთ, როგორც ბავშვი დარგულ უპირისპისს...



მიემგზავრება, რათა დაკარგული ფესვები მოიძიოს...

ცნობისათვის: კაროლინა შუთი 1976 წელს, ავსტრიაში, ინსბრუკში დაიბადა. დაამთავრა გერმანული ფილოლოგიის, ასევე ანგლისტიკისა და ამერიკათმცოდნეობის ფაკულტეტი. აქვს მუსიკალური განათლება. მისი სადოქტორო ნაშრომი ეძღვნება ნობელის პრემიის ლაურეატის - ელიას კანეტის ლიტერატურულ შემოქმედებას.

შუთი წერს რომანებს, ლექსებსა და რადიოპიესებს. გათავაზობს კაროლინა შუთის ექსკლუზიურ ინტერვიუს, სადაც ის გულახდილად პასუხობს ჩვენი ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვებს:

- 2015 წელს დაგაჯილდოვეს ევროკავშირის ლიტერატურის პრიზით. ამ გამარჯვებამ თქვენს ცხოვრებაში რა შეცვალა?

- ნახსენები პრიზის გარეშე, წიგნს, სავარაუდოდ, გაუჭირდებოდა იმ საერთაშორისო აღიარების მოპოვება, რომლითაც დღესდღეობით სარგებლობს. ნაწარმოები უკვე 16 ენაზეა თარგმნილი...

- თქვენი რომანი არის ქალზე, რომელმაც არაფერი იცის თავისი ფესვების შესახებ: დაკარგა მშობლები - დედა გარდაიცვალა და მამამ მიატოვა. აქვს თუ არა ამ ამბავს საერთო თქვენს ბიოგრაფიასთან?

- გარკვეულ ასპექტში, შესაძლოა, ასეც იყოს. დედაჩემი კონფლიქტისა და მძიმე ისტორიული წარსულის ქალაქიდან, ბიალისტოკიდან არის. ინსბრუკში 70-იან წლებში ჩამოვიდა, როცა ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა და გამოუცდელი ქალი იყო. მამაჩემი პოლონელი დევნილის შვილია - იგი ჰანოვერის დევნილთა ბანაკში გაიზარდა. ჩემმა მშობლებმა საკმაოდ რთული გზა განვლეს ინსბრუკში ჩამოსვლამდე, სადაც საბოლოოდ შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს. მე „შემთხვევითი“ ავსტრიელი ვარ: 5 წლამდე ჩემი მშობლიური ენა პოლონური იყო; შემდგომ, უბრალოდ, ვალდებული ვიყავი, გერმანულად მელაპარაკა და დამავიწყდა კიდევ პოლონური. დღესდღეობით, სამწუხაროდ, ერთი სიტყვაც არ მესმის მშობლიურ ენაზე...

- ენა და იდენტობა ქართველი მკითხველისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თემაა. ჩვენთვის ენა ქვეყნის თვითმყოფადობასთან ასოცირდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად უქმნის საფრთხეს გლობალიზაცია დღეს არსებულ ენებს?

- გლობალიზაცია ჩვენი თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ვმოგზაურობთ, ვტოვებთ სამშობლოს, რათა ვისწავლოთ ან ვიმუშაოთ უცხო ქვეყნის მიწაზე. ბევრს, საერთოდ, დევნილის სტატუსით უწევს საკუთარი სახლის დატოვება. ენა სამშობლოს ის ნაწილია, რომელიც ემიგრაციაში მიგვაქვს თან. ენა განსაზღვრავს ჩვენს ფიქრებსა და ქმედებებს, ის ჩვენი იდენტობის უზარმაზარ ნაწილს შეადგენს.

ჩემი აზრით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია უცხო ენის შესწავლა, რათა უცხოტომელთა გვერდით შევძლოთ მშვიდად და ბედნიერად ცხოვრება, თუმცა, მეორე მხრივ, საჭიროა, საკუთარ ენას ისე მოვუაროთ, როგორც ბავშვი დარგულ უძვირფასეს ყვავილს... და აქვე გეტყვით, რომ ეგრეთ წოდებული მსხვილი ენათა ჯგუფების გვერდით უცხოტომელთა ვგულისხმობ დიალექტებსა და უმცირესობების ენებსაც, რომლებიც დღესდღეობით გადაშენების საფრთხის წინაშე არიან. არც ერთ ენას არა აქვს ნაკლები ფასი თუ ნონა, გამომდინარე იქიდან, რომ მას ადამიანების შედარებით მცირე ნაწილი ყოველდღიურად იყენებს.

- ზოგადად, ადამიანთა მართობა მტკივნეულად აღიქმება; ეს თემა აქტუალურია თქვენს ნაწარმოებებშიც; და კიდევ - შიშ; განცდა, რომელიც სულ თან სდევს თქვენს პერსონაჟებს...

- ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ფესვები დაკარგეს, ხშირად გამხდარიან მართობის მსხვერპლი, იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა, უცხო ქვეყანაში მოახერხეს ახალი ოჯახისა თუ მეგობრების პოვნა. პირადად მე, ხშირად მაქვს განცდა, რომ არ მივეკუთვნები იმ ადგილს, სადაც დღეს ვცხოვრობ, არადა, ინსბრუკში ვარ გაზრდილიც და დაბადებულიც. მე, უბრალოდ, მენატრება ჩემი ბებიები, ბიძები, მამიდები... მენატრება ის ამბები და საფლავები, რომლებიც მათთან მაკავშირებს.

- ვიცით, რომ მუსიკალური განათლება გაქვთ. რა როლს თამაშობს მუსიკა თქვენს ლიტერატურაში?

- ჩემს მწერლობაში მუსიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მე ხშირად, „ყურებითაც ვწერ“. ენაში საკმაოდ ბევრი შესაძლო სიტყვაა შეთანხმება, რომელთა შორის არჩევანს, უპირველესად, ფონეტიკური უღერადობის მიხედვით ვაკეთებ. გარდა ამისა, ჩემი მუსიკალური განათლება და მუსიკალური ფორმების ცოდნა მეხმარება მთელი რიგი ლიტერატურული პრინციპების გააზრებასა და შემდგომ მათ გამოყენებაში. მაგალითისთვის შემიძლია ის პრინციპი მოვიშველიო, რომლითაც ვადგენ კონკრეტული სიტყვის გამოყენების ოდენობას ან იმგვარი ტექნიკის გამოყენების პროცესს, როგორცაა: რონდო, ფუგუ ან სხვა.

- ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ თქვენთვის მნიშვნელოვანია, ფრანგულ მუსიკალური უღერადობა შესძინოთ. როგორ ფიქრობთ, თარგმანში ამ უღერადობის შენარჩუნება შესაძლებელია?

- მე მჯერა, რომ თარგმანს ტექსტის თავიდან შექმნის პროცესია. ჩემი წიგნის თარგმანებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამახასიათებელი სიმსუბუქე უღერადობაში, თუმცა დაბრკოლებები, რომლებიც ამ პროცესში წარმოიქმნება - ბუნებრივია, ენის სპეციფიკიდან გამომდინარე - ყველა ენაში განსხვავებულად უნდა გადაიჭრას. ამასთან, ვფიქრობ, ყოველთვის სჯობს, თარგმანში პოეტურობისა და უღერადობის შენარჩუნება თუნდაც ორიგინალის კონკრეტული დეტალის დაკარგვის ხარჯზეც კი.

- ალბინიზმით ხართ გატაცებული. ბევრისთვის მწვერვალზე ასვლა საკუთარი თავის ძიებაა. თქვენ რა გიზიდავთ მთებში?



სურათზე: კაროლინა შუთი, სიმონ რანიერის ფოტო

- თუ შენ ცხოვრობ მთებით გარშემორტყმულ პატარა ქალაქში, უბრალოდ, ვალდებული ხარ, დალაშქრო ეს მწვერვალები, რათა მთელი სიღიადით შეიგრძნო სამყაროს ზომა და პირიზონტი. ამას გარდა, მთამსვლელობა, უპირველესად, თავად დედამიწასთან მაკავშირებს. როცა ამას ვამბობ, არ ვლაპარაკობ ეზოთერიკული გადმოსახედიდან, ყველა ჩემი სიტყვა ბუნებრივი ემოციის ნაწილია; ვერაფერი შემიცვლის იმ განცდას, რომელსაც თბილ ქვაზე ხელის შეხების დროს განვიცდი. ამას დავამატოთ ის უსასრულო თავისუფლებისა და მშვიდობის განცდა, რომელსაც ტექნოლოგიებისგან შორს ყოფნა მანიჭებს. ამ დროს მგონია, რომ რაღაც მასშტაბური მარტყამს გარსს და მეც მისი მხოლოდ უმცირესი ნაწილი ვარ... დაბოლოს, გეტყვით, რომ მადლობელი ვარ თითოეული იმ ნამისთვის, რომელიც მთების ნიაღში მაქვს გატარებული.

- ვფიქრობ, საქართველო ამ მხრივაც საინტერესო იქნება თქვენთვის, რადგან ჩვენს ქვეყანაში ალბინიზმისთვის მიმზიდველი და რთულად დასალაშქრი არაერთი მწვერვალია. გსმენიათ რამე საქართველოზე?

- რა თქმა უნდა, მსმენია! პირველად ქართული ლანდშაფტისა და კულტურის შესახებ ერთ-ერთი დოკუმენტური ფილმიდან შევიტყვე და მაშინვე მთელი გულით შემოყვარდა. მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როცა პირადად შექნება ქართველ ხალხთან შეხვედრის, თქვენი მუსიკის მოსმენის, ქართული ლიტერატურის უკეთ გაცნობისა და უძველესი მონასტრებისა თუ მთების პირადად ნახვის შესაძლებლობა. აქვე არ მაინცდება ქართული კულინარია, რომელიც, ჩემი ინტუიციით, ასევე გამორჩეულად კარგი უნდა იყოს.

- წარმატებებს გისურვებთ! სიამოვნებით გიმასპინძლებთ და დავულოდებით თქვენს ახალ წიგნს.

- მეც ვიმედოვნებ, რომ უახლოეს პერიოდში თქვენთან პირადად შეხვედრის საშუალება მომეცემა. ქართველებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ! P.S. უფრო მეტ ინფორმაციას კაროლინა შუთის საინტერესო რომანისა და პროექტის („დავუახლოვდეთ ლიტერატურულ ევროპას“) სხვა აქტივობების შესახებ შეგიძლიათ გაცნობთ გამოცემლობის ვებგვერდზე: https://klio.ge/project_eu/

ლიკა ქაჯაია

მთავარი რედაქტორი ივანე აპირსანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბად მატრაველი
ფინანსური მენეჯერი ქატიკაან დამატრაველი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბალა გვალსიანი, მზია ბარბაქაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ვოლდემარ ჰანსკი

„ლიტერატურული საქართველო“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

გაგონის პარასკეობი



დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806
9 771987 980005